



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაშტიკი“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

3... მაისი, 2023 წელი

N 24/36

ეგზ.: N 1

ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2020-2021
წლების საქმიანობის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	6
	1. შესავალი	9
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	9
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	9
	აუდიტის საგანი	9
	აუდიტის მასშტაბი	9
	აუდიტის კრიტერიუმები	10
	აუდიტის მიზანი	11
	აუდიტის მეთოდოლოგია	11
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	12
	2. აუდიტის მიგნებები	13
დანართები	დანართები	45
	საკონტაქტო ინფორმაცია	56

ტერმინები და შემოკლებები

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

ი/მ – ინდივიდუალური მეწარმე.

მუნიციპალიტეტი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია; ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მერია – ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია.

საკრებულო – ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

შემსყიდველი – ბოლნისის მუნიციპალიტეტი.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ფინანსური რესურსების მართვა

სახელმწიფო შესყიდვების მართვა

ინფრასტრუქტურული პროექტების მართვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტში არსებობს როგორც ფინანსური რესურსების, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო შემოსავლების დროული პროგნოზირება და ბიუჯეტში ასახვა, აგრეთვე, არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და შესრულება, რის გამოც მოცემული საბიუჯეტო მუხლის შესრულებას, შესაბამისად, 19.1%¹ და 28.8%² დააკლდა.

გარე განათების მოვლა-პატრონობის შესყიდვის ხარვეზები

მერიამ გარე განათების მოვლა-პატრონობის შესყიდვების პროცესი წარმართა იმგვარად, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დათვლის მიზნით სათანადოდ არ ჩაატარა ბაზრის კვლევა. შედეგად, პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატებოდა საბაზრო ფასს.

სატენდერო ხარვეზი

შესყიდვებში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მუნიციპალიტეტმა სატენდერო პროცესი წარმართა იმგვარად, რომ არასწორად განსაზღვრა სატენდერო მოთხოვნები. შედეგად მუნიციპალიტეტმა დაკარგა 49.8 ათასი ლარის სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

გამარტივებულ შესყიდვებში არსებული შეუსაბამოებები

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, 154.8 ათასი ლარის ღირებულების ობიექტები მერიამ ჩაიბარა და ანგარიშსწორება განხორციელა ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და იწვევს თანხების ზედმეტად ანაზღაურების რისკს.

ინფრასტრუქტურული პროექტების მოწყობის ხარვეზები

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვაში, შესრულებასა და კონტროლში არსებული სისუსტეების შედეგად, 1,275.3 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილი დაზიანებულია. მუნიციპალიტეტს არ შეუსწავლია პრობლემის გამომწვევი მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ არ გაუტარებია შესაბამისი ღონისძიებები.

გამოყენებული ინფრასტრუქტურული პროექტები

მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტების მოწყობაში არაეფექტიანად დახარჯა 370.6 ათასი ლარის ღირებულების საბიუჯეტო რესურსი და ვერ მიაღწია პროექტის განხორციელებით დასახულ მიზანს.

მოსახლეობის წყალმომარაგებაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებები მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით არასაკმარისია და გაწეულია მხოლოდ 1,023.5 ათასი ლარის ხარჯი. მოსახლეობის ნაწილს წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება

¹ 2020 წელს ვერ იქნა ათვისებული 2,576.2 ათასი ლარი.

² 2021 წელს ვერ იქნა ათვისებული 4,191.4 ათასი ლარი.

შეფერხებით. სასმელი წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს.

ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მერიამ 5 ხელშეკრულების ფარგლებში 371.9 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების პროცესი დაუშვა ხელშეკრულების გაფორმებისა და სათანადო ვალდებულების წარმოშობის გარეშე. არსებობს რისკი, რომ შესაბამისი პასუხისმგებელი პირები შესაძლოა მოქმედებდნენ არა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, არამედ კონკრეტული მიმწოდებლების ინტერესების სასარგებლოდ.

შრომის ანაზღაურება

წახალისების გაცემის შეუსაბამობა

მუნიციპალიტეტში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მერიამ დანამატები და ჯილდოები – სულ 217.0 ათასი ლარი გასცა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით.

ქონების მართვა და განკარგვა

ქონების მართვასა და განკარგვაში არსებული ხარვეზები

კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მერიამ ვერ უზრუნველყო იჯარიდან მისაღები შემოსავლის სრულად მობილიზება, ხოლო საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები. შედეგად, მუნიციპალიტეტი კარგავს ბიუჯეტში კუთვნილი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

სატრანსპორტო საშუალებების მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სამორიგო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა 79 ერთეულით აღემატებოდა რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტს სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული საწვავის მიზნობრივ გამოყენებაზე.

მივლინების ხარჯის შეუსაბამობა

მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემები არ მოიცავს სამივლინებო ხარჯების ეფექტიანობის შეფასებას. საჯარო მოხელეების ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისთვის 53.2 ათასი ლარი დახარჯულია ისე, რომ მუნიციპალური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით მივლინების შედეგების პრაქტიკაში გამოყენება დოკუმენტურად არ დასტურდება.

საკონსულტაციო მომსახურების შეუსაბამობა

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, თუ რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული საფინანსო-საკონსულტაციო მომსახურებაზე მემორანდუმის ფორმით 136.3 ათასი ლარის გადახდა. მერია ვალდებული იყო პირველ რიგში გამოეყენებინა საკუთარი შრომითი რესურსი, ხოლო მოხელეების პროფესიული განვითარების საჭიროებისას, მომსახურება შეესყიდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

რეგიონალური განვითარების სააგენტოს დაფინანსების შეუსაბამობა

მუნიციპალიტეტმა ა(ა)იპ – ქვემო ქართლის რეგიონალური განვითარების სააგენტო დააფინანსა 90.0 ათასი ლარით. მერიამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია დახარჯული საბიუჯეტო სახსრებიდან რა სარგებელი მიიღო

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების დაფინანსება და საქმიანობა

მუნიციპალიტეტმა. მერიას არ შეუსწავლია გახარჯული თანხების ეფექტიანობა და ღონისძიებების შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან.

საკრებულოს წევრებზე დაუსაბუთებლად ანაზღაურებული ხარჯები

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად 200.2 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

მუნიციპალური იურიდიული პირების საქმიანობის ხარვეზები

დაგეგმვასა და კონტროლში არსებული მართვის სისუსტეების შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ზოგიერთი დასაქმებულის შრომითი ხელშეკრულება სამუშაო აღწერილობას არ მოიცავს. ზოგიერთი დასაქმებული კი ფუნქციურად დატვირთული არ არის და ვერ დასტურდება მათ მიერ შესრულებული სამუშაო. აღნიშნული შეუსაბამოები გამოვლინდა მინიმუმ 170 დასაქმებულის შემთხვევაში, რომელთა ხელფასებზე გაცემული 1,838.6 ათასი ლარი არარაციონალურ ხარჯს წარმოადგენს.

მოსაკრებლები

დასუფთავების მიუღებელი მოსაკრებელი

კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მერიამ ვერ უზრუნველყო მოსაკრებლის ამოღების სათანადო ადმინისტრირება. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ მიიღო დასუფთავების მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

საბიუჯეტო პროცესი

საბიუჯეტო ხარვეზი

საბიუჯეტო პროცესში არსებულმა მართვის სისუსტეებმა, წარმოშვა ხარვეზი ბიუჯეტის დაგეგმვაში. შესაბამისად, დარღვეულია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული მოთხოვნა.

დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსება საკუთარი შემოსავლებიდან

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი სამსახურების საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა მისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების ფარგლებში, რამაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი 844.2 ათასი ლარის ხარჯი გამოიწვია.

შიდა აუდიტი

შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტში კონტროლის გარემო სუსტია, რაც დასტურდება შიდა აუდიტის ფუნქციის არაეფექტიანობით და წინა აუდიტით გაცემული რეკომენდაციების შეუსრულებლობით.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია №1: მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სტრატეგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და ბიუჯეტით დაგეგმილი პროექტების განხორციელებას;

რეკომენდაცია №2: მერიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები და უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა შესაბამისი პერიოდებისთვის არსებული საბაზრო ფასების გათვალისწინებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ და რაციონალურ ხარჯვას;

რეკომენდაცია №3: მერიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით ანაზღაურებას; ამასთანავე, მერიამ მიიღოს საკმარისი და შესაფერისი რწმუნება, რომ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნები სრულყოფილად ასახავდეს ფაქტობრივი დანახარჯების დათვლას. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს კონკრეტული ფაქტები, მოახდინოს ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების დამატებითი შემოწმება და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები;

რეკომენდაცია №4: მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა;

რეკომენდაცია №5: მერიამ შეიმუშაოს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სტრატეგია/წესი, რომლის ფარგლებში სამუშაოებს დაგეგმავს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას ან/და გამოყენებას. მათ შორის, შეისწავლოს პროექტის პრიორიტეტულობა, შესასრულებლად საჭირო რესურსი და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია მისი განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულად დასრულებას, ობიექტების ექსპლოატაციაში მიღებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას;

რეკომენდაცია №6: მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს, გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების

გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით და როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას;

რეკომენდაცია №7: მერიამ, საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს ქონების მართვის სტრატეგია და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქონების მონიტორინგისა და განკარგვის გაუმჯობესებას, ქონების თვითნებურად დაკავების თავიდან აცილებას ან/და დროულად გამოვლენას. ამასთანავე, მერიამ განახორციელოს შესაბამისი რეაგირება მუნიციპალური ქონების არაუფლებამოსილი პირების მიერ გამოყენების შემთხვევებთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური ქონების მართვის პროცესის გაუმჯობესებას და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას;

რეკომენდაცია №8: მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს წესი, რითაც დარეგულირდება სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობა და განისაზღვრება საწვავისა და მოვლა-შენახვის ხარჯვის კონტროლის მექანიზმები; საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია მერიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმ(ებ)ი და შეიმუშაოს სათანადო პროცედურები, მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაციისას უფლებამოსილი პირების მიერ დამონტაჟებული საწვავის „ჩიპების“ მთლიანობის შემოწმება; სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა;

რეკომენდაცია №9: მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს წესი საჯარო მოხელის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების შესახებ. აღნიშნული წესით მიზანშეწონილია განისაზღვროს მივლინების მიზნები, რომელიც შეესაბამება მუნიციპალიტეტის საჭიროებებს და ინტერესებს. დოკუმენტი უნდა ითვალისწინებდეს ღონისძიებათა გეგმას მივლინების შედეგების მუნიციპალიტეტის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით გამოყენების შესახებ და ასევე მივლინებული პირების მიერ ანგარიშების წარმოდგენას მიღებული ცოდნა/გამოცდილების განვრცობის თაობაზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამივლინებო ხარჯების ეფექტიანობის გაზრდას;

რეკომენდაცია №10: მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით მჭიდროდ ითანამშრომლოს ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან და საჭიროებიდან გამომდინარე დაგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა და ზოგადი განვითარებისათვის. აღნიშნული დაზოგავს საბიუჯეტო თანხებს და სხვა

მუნიციპალიტეტებთან ერთად ხელს შეუწყობს საქმიანობის კოორდინაციასა და გაუმჯობესებას;

რეკომენდაცია №11: მერიამ, საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი და ეკონომიური განკარგვის პრინციპებს. სტრატეგიის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში მერიამ შეაფასოს სუბიექტების საქმიანობის მიმართულებები და სარგებლიანობა. ასევე, შეისწავლოს ორგანიზაციებში არსებული საკადრო პოლიტიკა, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრისა და რეალური საჭიროების მხრივ. საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს თანამშრომელთა სათანადო ფუნქციური დატვირთვა ან საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია. აღნიშნული ხელს შეუწყობს იურიდიული პირების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასა და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას;

რეკომენდაცია №12: მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდევინების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზებას. მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც შეამცირებს მოსაკრებლის ადმინისტრირებისათვის დახარჯულ რესურსს და ამასთანავე, გაზრდის ამოღების მაჩვენებელს;

რეკომენდაცია №13: მერიამ იმსჯელოს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების საკითხზე. სათანადოდ დაასაბუთოს და მოითხოვოს დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ტრანსფერის მოცულობის გაზრდა ან შეამციროს ხარჯები და საქმიანობა განახორციელოს გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში. აღნიშნული უზრუნველყოფს საქმიანობის უფრო ეკონომიურად განხორციელებას და საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზაციას;

რეკომენდაცია №14: მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომელიც შეისწავლის და შეაფასებს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემებს, ასევე პროცესებში არსებულ რისკებს და გამოავლენს სისტემურ ხარვეზებს. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მათი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდასა და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – ბოლნისის მუნიციპალიტეტის აუდიტის საგანთან დაკავშირებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საქმიანობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობა. აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. გარდამავალი ხელშეკრულებებიდან და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა სხვა პერიოდის დოკუმენტაცია.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:³

-)/ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
-)/ საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
-)/ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

³ 2020-2021 წლებში მოქმედი რედაქციით.

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“;
- მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება ნებისმიერი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

- აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:
- საუდიტო ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
- ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ბოლნისის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 15 ადმინისტრაციულ ერთეულს,⁴ მათ შორის 1 ქალაქს და 2 დაბას. თვითმმართველი ერთეულის ფართობია 804.0 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა კი შეადგენს 55.9 ათასს.⁵

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯები გაწეულია შემდეგ პროგრამებზე: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება – 11,549.9 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 25,873.8 ათასი ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა – 4,670.0 ათასი ლარი; განათლება – 8,081.5 ათასი ლარი; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 12,766.2 ათასი ლარი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 12,229.6 ათასი ლარი.

⁴ ინფორმაციის წყარო: mreg.reestri.gov.ge, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

⁵ ინფორმაციის წყარო: www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁶

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა შემდეგი შედეგების მიღწევა: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, პარკებისა და სკვერების, გარე განათების, წყალმომარაგებისა და სანიაღვრე სისტემების, ტროტუარების, ხიდების რეაბილიტაცია და სხვ.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, პროდუქტიულად და ეფექტიანად გამოყენებას.⁷

ფაქტობრივი გარემოება: ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებზე დაყრდნობით, 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა – 79,447.5 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა – 75,171.0 ათასი ლარი შეადგინა. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში №1.

ცხრილი №1. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ (ათასი ლარი)

დასახელება	2020 წელი			2021 წელი			შესრულებების ჯამი
	გეგმა	ფაქტი	%	გეგმა	ფაქტი	%	
შემოსულობები	36,217.0	39,633.1	109.4%	37,399.1	39,814.4	106.5%	79,447.5
შემოსავლები	36,157.0	39,478.2	109.2%	36,612.2	39,025.8	106.6%	78,504.0
არაფინანსური აქტივების კლება	60.0	154.9	258.2%	786.9	788.6	100.2%	943.5
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	0.0	0.0	–	0.0	0.0	–	0.0
ვალდებულებები ს ზრდა	0.0	0.0	–	0.0	0.0	–	0.0
გადასახდელები	40,079.6	36,070.6	90.0%	44,824.7	39,100.4	87.2%	75,171.0
ხარჯები	26,430.9	25,013.0	94.6%	30,192.0	28,669.1	95.0%	53,682.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	13,495.7	10,919.5	80.9%	14,565.2	10,373.8	71.2%	21,293.3
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	0.0	0.0	–	0.0	0.0	–	0.0
ვალდებულებები ს კლება	153.0	138.1	90.3%	67.5	57.5	85.2%	195.6
ნაშთის ცვლილება	-3,862.6	3,562.5	–	-7,425.6	714.0	–	–

⁶ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1; მუხლი 77, პუნქტები: 8, 9; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“.

⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 1; მუხლი 6, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების თანახმად, შემოსავლების შესრულებამ 2020 წელს 109.2%, ხოლო 2021 წელს – 106.6% შეადგინა. აღნიშნული განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ბიუჯეტის საგადასახადო⁸ და სხვა შემოსავლები⁹ გაიზარდა. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო გაზრდილი შემოსავლების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში ასახვა.

აგრეთვე, ორივე საანგარიშო წლისათვის მუნიციპალიტეტმა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი არასათანადოდ შეასრულა. კერძოდ, მერიამ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად წლის ბოლომდე ვერ აითვისა ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგები: ძირითადად ვერ დასრულდა და დაგვიანდა წყალმომარაგების სამუშაოები, საგზაო ინფრასტრუქტურის, საბავშვო ბაღების, საჯარო სკოლების, საკანალიზაციო ქსელის და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები.

გარდა დაგეგმილი და აუთენტიკური თანხებისა, მუნიციპალიტეტს 2020-2021 წლებში თავისუფალი ნაშთის სახით გააჩნდა არსებითი მოცულობის თანხები, კერძოდ:

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 3,862.6 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა დაგეგმა ნაშთის სრულად გამოყენება. მიუხედავად ამისა, 2020 წელს ნაშთის ცვლილებით გამოწვეულმა ფულადი სახსრების დაგროვებამ (ზრდამ) შეადგინა 3,562.5 ათასი ლარი და წლის ბოლოს დაფიქსირდა 7,425.1 ათასი ლარის ნაშთი. აღნიშნული ფულადი სახსრებიდან 1,394.0 ათასი ლარი – სხვადასხვა გარდამავალი და დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტის შედეგად წარმოიქმნა, ხოლო დანარჩენი 6,031.1 ათასი ლარი – თავისუფალი ნაშთია.¹⁰

მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 2020 წლის ბოლოს დაგროვებული ნაშთის სრულად გამოყენება. მიუხედავად ამისა, 2021 წელსაც ნაშთი გაიზარდა და ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების დაგროვებამ (ზრდამ) 714.0 ათასი ლარი შეადგინა, შესაბამისად, 2022 წლის 1 იანვრისთვის დაფიქსირდა 8,139.1 ათასი ლარის ნაშთი. აღნიშნული ფულადი სახსრებიდან 2,211.1 ათასი ლარი წარმოიშვა სხვადასხვა გარდამავალი და წლის ბოლომდე დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტის გამო, ხოლო დანარჩენი 5,928.0 ათასი ლარი – თავისუფალი ნაშთია.¹¹

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში ვერ უზრუნველყო შემოსავლების დროული პროგნოზირება და ბიუჯეტში ასახვა, ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება და დააგროვა

⁸ ქონების გადასახადი.

⁹ მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის, დასუფთავების მოსაკრებელი და სხვ.

¹⁰ წლის განმავლობაში წარმოშობილი ჭარბი საგადასახადო და სხვა შემოსავლები, სატენდერო ეკონომია.

¹¹ წლის განმავლობაში წარმოშობილი ჭარბი საგადასახადო და სხვა შემოსავლები, სატენდერო ეკონომია.

რეკომენდაცია №1

არსებითი მოცულობის ფულადი ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი). აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის განკარგვაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

მერამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სტრატეგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და ბიუჯეტით დაგეგმილი პროექტების განხორციელებას.

2.2 შესყიდვების მართვა

2.2.1. გარე განათების მოვლა პატრონობის შესყიდვის ხარვეზები

კრიტერიუმი: შესყიდველმა ორგანიზაციამ ყოველი კონკრეტული შესყიდვის განხორციელებამდე უნდა განახორციელოს ბაზრის კვლევა, ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით. მუნიციპალიტეტმა ბაზრის კვლევის პროცესი უნდა წარმართოს იმგვარად, რომ მას შეეძლოს მაქსიმალურად სრულყოფილი სურათი ბაზარზე არსებული შემოთავაზებების, მათ შორის, პოტენციურ მიმწოდებელთა ვინაობის, არეალის, მათი შესაძლებლობების, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების, მიწოდების პირობებისა და ვადების, ასევე შესყიდვის სავარაუდო ღირებულების თაობაზე.¹²

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერები გარე განათების ქსელის საექსპლუატაციო მომსახურების შესასყიდად. პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებამ, 2020 წელს – 6.5 ათასი ლარი, ხოლო 2021 წელს 6.2 – ათასი ლარი შეადგინა.¹³ ტენდერებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა შპს „დევეპლიუსმა“ და გამოცხადდა გამარჯვებულად. ორივე წლის ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 792.0 ათასი ლარი.¹⁴

ტენდერების შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებისთვის ტენდერები გამოაცხადა იმგვარად, რომ სავარაუდო ღირებულების დასადგენად ბაზრის კვლევის პროცედურები სათანადოდ არ ჩაატარა. კერძოდ, ტენდერები გამოცხადდა პრეისკურანტის ფასებით, რომელიც შედგენილია 2018 წლის 13 დეკემბერს ა(ა)იპ „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის“ მიერ.¹⁵

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რატომ გახდა საჭირო 2018 წელს ბაზრის კვლევა ჩატარებინა ა(ა)იპ „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციას“, როდესაც სატენდერო კომისიას შეეძლო მოეკვლია

¹² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 9, პუნქტი 6, ქვეპუნქტი „ე“. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით.

¹³ SPA190005655; SPA200003293.

¹⁴ წელიწადში 396.0 ათასი ლარი.

¹⁵ ბაზრის კვლევის განხორციელების თაობაზე დოკუმენტის შექმნიდან გასული იყო 1 თვეზე მეტი, შესაბამისად, 2020-2021 წლებისთვის გამოცხადებული ტენდერებისთვის პრეისკურანტის სავარაუდო ფასები არავალიდურია.

ბაზარზე არსებული პოტენციური მიმწოდებლები და დაედგინა საბაზრო ფასი შესაბამისი პერიოდისათვის.

აღსანიშნავია, რომ ასოციაციას ბაზრის კვლევის ჩასატარებლად არ ჰქონდა შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება. ვინაიდან ბაზრის კვლევა სათანადოდ არ ჩატარებულა, არსებობს რისკი, რომ სავარაუდო ღირებულება აღემატებოდეს საბაზრო ფასებს. აუდიტის ჯგუფმა მოითხოვა გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვის სრული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებების შესწავლით გამოვლინდა, რომ პრეისკურანტით განსაზღვრული შესასყიდი საქონლის სავარაუდო ფასები, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესყიდული მასალების ფასებზე 155%-დან 287 %-ით მეტია. კერძოდ, პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებების გათვალისწინებით, მხოლოდ 4 დასახელების შესასყიდი საქონლის ჯამური ღირებულება, მიმწოდებლის მიერ შესყიდული მასალების ღირებულებას 44.7 ათასი ლარით აღემატებოდა.¹⁶ (იხ. დანართი №1)

აღსანიშნავია, რომ წინა აუდიტის შედეგად გამოვლინდა გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარვეზებიც. კერძოდ, არსებობდა რისკი, რომ მუნიციპალიტეტმა დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხები ზედმეტად გადაიხადა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მერიამ გარე განათების შესყიდვის პროცედურები წარმართა იმგვარად, რომ სავარაუდო ღირებულება განსაზღვრა საბაზრო ფასების უგულებელყოფით. კერძოდ, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატებოდა საბაზრო ფასს, რამაც საბიუჯეტო რესურსების არაეკონომიური ხარჯვა განაპირობა.

რეკომენდაცია №2

მერიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები და უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა შესაბამისი პერიოდებისთვის არსებული საბაზრო ფასების გათვალისწინებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ და რაციონალურ ხარჯვას.

2.2.2 სატენდერო მოთხოვნის შეუსაბამობა

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სატენდერო კომისიამ მიმწოდებლების შერჩევა-შეფასების პროცესში უნდა იმსჯელოს, შეესაბამება თუ არა ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემ(ებ)ს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობას/უზუსტობებს, რომლის/რომელთა წარდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. ამასთან, დაზუსტებას არ ექვემდებარება ტექნიკური დოკუმენტაცია, თუ არ არის წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა ან წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი პოზიცი(ებ)ის რაოდენობა

¹⁶ 2018 წელს, ბაზრის კვლევის დროს, ეს მასალები კიდევ უფრო იაფი ელირებოდა.

აღმატება განსაფასებელი პოზიციების 1%-ს.¹⁷ განსაფასებელია ხარჯთაღრიცხვის ყველა ის პოზიცია, რომელსაც ენიჭება რიცხვითი მნიშვნელობა. სახელმწიფო შესყიდვების მიზანია ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის დაცვა.¹⁸

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა 10 ტენდერში¹⁹ დაბალფასიან პრეტენდენტებს დისკვალიფიკაცია მიანიჭა დოკუმენტაციის დაზუსტების გარეშე. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, დისკვალიფიკაცია განაპირობა იმ გარემოებამ, რომ წარდგენილ ხარჯთაღრიცხვებში განუფასებელი იყო განსაფასებელი პოზიციების 1%-ზე მეტი.

სატენდერო დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა სისტემური ხასიათის ხარვეზი, რაც მოქმედებდა ტენდერების შედეგებზე. კერძოდ, მუნიციპალიტეტმა სატენდერო დოკუმენტაციით ხარჯთაღრიცხვებში განსაფასებელ პოზიციებზე შესასრულებელი სამუშაოების მხოლოდ ერთეულის ფასები განსაზღვრა. აღნიშნული დათვლა შეუსაბამოა, რადგან განსაფასებელ პოზიციებზე არ იყო ჩათვლილი ჯამური რიცხვითი მაჩვენებლები.²⁰ ამგვარი მიდგომა ხელოვნურად ამცირებდა განსაფასებელი პოზიციების რაოდენობას და შეუსაბამოდ ზრდიდა განუფასებელი პოზიციების პროცენტულ თანაფარდობას.

იმ შემთხვევაში, თუკი კომისია კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრავდა სატენდერო მოთხოვნებს, 10-დან 6 შესყიდვისათვის²¹ დაბალფასიანი პრეტენდენტების ტექნიკური დოკუმენტაცია დაექვემდებარებოდა დაზუსტებას, რაც მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემდა დაეზოგა 49.8 ათასი ლარი.

დასკვნა

შესყიდვებში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მუნიციპალიტეტმა სატენდერო პროცესი წარმართა იმგვარად, რომ არასათანადოდ განსაზღვრა სატენდერო მოთხოვნები. შედეგად მუნიციპალიტეტმა დაკარგა 49.8 ათასი ლარის სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

2.2.3 გამარტივებულ შესყიდვებში არსებული შეუსაბამობები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად,²² გამარტივებული შესყიდვის გზით 40.0 ათასი ლარის ზევით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს შემდეგი წესით: შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით

¹⁷ „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება, მუხლი 27, პუნქტი 1 და 3.

¹⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2.

¹⁹ NAT200003243, NAT200005368, NAT200005364, NAT200005463, NAT200008979, NAT200016023, NAT210010084, NAT210014822, NAT210019292, NAT210019757.

²⁰ კერძოდ: განსაფასებელ პოზიციად არ იყო ჩათვლილი შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების ნამრავლი ერთეულის ფასებზე, ასევე ხელფასების, მასალების და ტრანსპორტირების ხარჯების საერთო ჯამური რიცხვები ზედნადები ხარჯების, მოგების და დღგ-ის ჩათვლით.

²¹ NAT200003243, NAT200005368, NAT200016023, NAT210010084, NAT210019292, NAT210019757; დანარჩენ 4 შემთხვევაში პრეტენდენტების მიერ წარდგენილ ხარჯთაღრიცხვებში განუფასებელი პოზიციების რაოდენობამ გადააჭარბა განსაფასებელი პოზიციების 1%-ს.

²² საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“; მუხლები 3 და 4.

გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. აღნიშნული გულისხმობს სამუშაოს ანაზღაურებას რეალურად გაწეული ხარჯების მიხედვით, რაც შესაძლებელია დადასტურდეს სამუშაოს შესრულების პროცესში შედგენილი სასაქონლო ზედნადებით, ანგარიშ-ფაქტურებით, ხელფასის უწყისებით, შესყიდვის აქტებით, იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებებით და სხვ.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით 40.0 ათასი ლარის ზევით გააფორმა 5 ხელშეკრულება, ღირებულებით 330.5 ათასი ლარი.

აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტს მოსთხოვა ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვისას, მუნიციპალიტეტი მიმწოდებლებთან ანგარიშსწორებას ახორციელებდა ექსპერტიზის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნები.²³ გამოვლინდა, რომ 2 ხელშეკრულების²⁴ ფარგლებში, ჯამური ღირებულებით 154.8 ათასი ლარი, ექსპერტს არ შეუდარებია ფორმა №2-ში წარმოდგენილი სამუშაოების ერთეულის ფასები და მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯები.²⁵ კერძოდ, ექსპერტიზის დასკვნებში არ არის მითითებული, რომ ექსპერტიზისთვის მიწოდებული იყო ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი სრული დოკუმენტები. შესაბამისად, მერიას აღნიშნული დასკვნები არ უნდა მიეღო რწმუნებად და სამუშაოების ღირებულება უნდა აენაზღაურებინა ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მიხედვით.

გამარტივებული შესყიდვის დროს, საქონლის/მომსახურების/სამშენებლო სამუშაოების მიწოდების ფასი დგინდება არაკონკურენტულ გარემოში, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის დროს შესყიდვა შესაძლოა განხორციელდეს არასაბაზრო ფასად. ამ რისკიდან გამომდინარე, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების საფუძველზე. იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი ანგარიშსწორებას ახორციელებდა ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, არსებობს რისკი იმისა, რომ საბიუჯეტო სახსრები შემსყიდველის მიერ ზედმეტად არის ანაზღაურებული.

დასკვნა

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვები განხორციელებულია ხარვეზებით.

²³ ექსპერტიზა ჩატარებულია შპს „რეალექსპერტის“ მიერ.

²⁴ CMR200074260, CMR200089850.

²⁵ 1 შემთხვევაში ექსპერტიზის დასკვნით, შესასწავლად წარმოდგენილი დოკუმენტებია: ქვეკონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის თარიღი 49 დღით უსწრებს მერიასა და მიმწოდებელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას. ასევე, ექსპერტიზაზე წარდგენილი იყო ქვეკონტრაქტორის მიერ მიწოდებული სასაქონლო ზედნადებები და შრომითი ხელშეკრულებები, თუმცა ექსპერტიზაზე არ არის წარდგენილი მიმწოდებლის მიერ ქვეკონტრაქტორისთვის ანაზღაურებული თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დაცული კანონმდებლობის მოთხოვნა ფაქტობრივი დანახარჯებით ანგარიშსწორების შესახებ, ორი ხელშეკრულების ფარგლებში, 154.8 ათასი ლარი ანაზღაურებულია ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის გარეშე, რაც ქმნის თანხების ზედმეტად ანაზღაურების რისკს.

რეკომენდაცია №3

მერიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით ანაზღაურებას; ამასთანავე, მერიამ მიიღოს საკმარისი და შესაფერისი რწმუნება, რომ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნები სრულყოფილად ასახავდეს ფაქტობრივი დანახარჯების დათვლას. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს კონკრეტული ფაქტები, მოახდინოს ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების დამატებითი შემოწმება და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

2.3 ინფრასტრუქტურული პროექტები

2.3.1 ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული პროექტებით გრძელვადიან პერიოდში სარგებლობა დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოების ხარისხზე. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ვალდებულია ჩაიზაროს ხარისხიანი სამუშაოები, რომლებიც შეესაბამება სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აღნიშნულის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტს შეუძლია როგორც შიდა კონტროლის სისტემის გამართვით, ასევე სამუშაოების ხარისხზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარებით.

სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.²⁶

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა 277 ხელშეკრულებით, ღირებულებით – 20,146.3 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებასა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოს მიმღები ჯგუფი. ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრული იყო სამუშაოების მიღება-ჩაბარება საექსპერტო ან/და ტექნიკური ზედამხედველის²⁷ მიერ გაცემული დასკვნების საფუძველზე, რითაც დასტურდებოდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა, ხარისხი და შესრულების ვადები. წარმოდგენილი ინფორმაციით, მუნიციპალიტეტმა ობიექტები ჩაიბარა დადებითი საექსპერტო დასკვნების საფუძველზე.

მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას სამუშაოების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. კერძოდ, აუდიტის ჯგუფმა შესრულებული სამუშაოები დაათვალიერა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად.²⁸ დათვალიერების შედეგად ხარვეზები

²⁶ მუნიციპალიტეტსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობები.

²⁷ 50.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოებს ამოწმებდა შპს „ექსპერტ ჰაუსი“ და შპს „ოპტიმალ გრუპი“.

²⁸ 2022 წლის 5-7 სექტემბერი.

გამოვლინდა 4 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ პროექტებზე, რომელთა ღირებულება 1,275.3 ათასი ლარია. კერძოდ, დაზიანებულია საბავშვო ბაღები, სათნოების სახლი, საგზაო და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები. (იხ. დანართი №2)

აღსანიშნავია, რომ დათვალიერების მომენტისათვის ინფრასტრუქტურულ პროექტებს გააჩნდა მოქმედი საგარანტიო ვადა, რომლის ფარგლებში უნდა მომხდარიყო არსებული ნაკლოვანებების გამოსწორება. მერიამ ობიექტებზე არსებული დაზიანებების აღმოფხვრის მიზნით, 4 შემთხვევიდან 2 შემთხვევაში მიმწოდებლებს მიმართა აუდიტის ჯგუფის მიერ ხარვეზების გამოვლენის შემდეგ.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ დანერგა კონტროლის შესაფერისი პროცედურები და პროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ მიეღო სათანადო ხარისხის ინფრასტრუქტურული პროექტები. შედეგად, მერიამ ჩაიბარა 1,275.3 ათასი ლარის ღირებულების ისეთი ობიექტები, რომლებიც ექსპლუატაციაში მიღებიდან მოკლე დროში დაზიანდა და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. მუნიციპალიტეტმა არ დაადგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები, არ გამოავლინა მათზე პასუხისმგებელი პირები და ზარალის ანაზღაურების მიზნით არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №4

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

2.3.2 გამოუყენებელი ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ორგანოები უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებენ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, მოვლა-პატრონობას, რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და განვითარებას.²⁹ მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.³⁰

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში შესყიდული ინფრასტრუქტურული პროექტების ფუნქციონირების მიმართულებით, მუნიციპალიტეტის საქმიანობაში აღინიშნება ხარვეზები, კერძოდ:

²⁹ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 19.

³⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“.

სოფლებში – სამწევრისი, სავანეთი, ხატისოფელი, მამხუტი და ტალავერი, მოეწყო წყლის სისტემა³¹, ხოლო ზემო არქევანსა და ხატავეთში – სკვერი.³² მოცემულ პროექტებში მერიამ დახარჯა 370.6 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა სოფელ სამწევრისში ჩატარებული სამუშაოები ჩაიბარა 2020 წლის ოქტომბერში, ხოლო დანარჩენ სოფლებში ჩატარებული სამუშაოები – 2021 წლის სექტემბერ-დეკემბერში. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტის მიღება-ჩაბარებიდან გასულია მინიმუმ 10 თვეზე მეტი, წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტები დაუსრულებელია და არ ფუნქციონირებს.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ზოგიერთი პროექტი საჭიროებს დამატებითი სამუშაოების ჩატარებას, რისთვისაც, ისევე როგორც ზოგიერთი ახალი პროექტის განსახორციელებლად, არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური რესურსი. მუნიციპალიტეტს საწყის ეტაპზე უნდა განესაზღვრა პროექტის რეალური საჭიროება, სავარაუდო ღირებულება, დაფინანსების წყარო და მხოლოდ ამის შემდეგ განეხორციელებინა შესყიდვის პროცედურები. ამასთანავე, მათ მიერ წარმოდგენილი არგუმენტი შეუსაბამოა, რადგან მუნიციპალიტეტს საანგარიშო პერიოდში გააჩნდა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი,³³ მათ შორის, დეპოზიტზე არსებული თანხები. მოცემული ნაშთი მერიამ არ გამოიყენა მითითებული ინფრასტრუქტურული ობიექტების დასასრულებლად.

დასკვნა

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად, მუნიციპალიტეტმა წყლის სისტემისა და სკვერის მშენებლობის შესყიდვაში, არაეფექტიანად დახარჯა 370.6 ათასი ლარი და ვერ მიადწია პროექტის განხორციელებით დასახულ მიზანს.

რეკომენდაცია №5

მერიამ შეიმუშაოს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სტრატეგია/წყისი, რომლის ფარგლებში სამუშაოებს დაგეგმავს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას ან/და გამოყენებას. მათ შორის, შეისწავლოს პროექტის პრიორიტეტულობა, შესასრულებლად საჭირო რესურსი და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია მისი განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულად დასრულებას, ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას.

2.3.3 წყალმომარაგებაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს მიეკუთვნება მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი მომსახურებას ახორციელებს შესაბამისი ლიცენზიანტი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით.³⁴ კანონმდებლობის მიხედვით,³⁵ სასმელი წყალი უნდა იყოს უვნებელი. სასმელი წყლის მიმწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია, აწარმოოს სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ

³¹ CMR200116940, NAT210015096, NAT210015097.

³² CMR210099307, CMR210099300.

³³ თავისუფალი ნაშთი: 2020 წელი - 6,031.1 ათასი ლარი, 2021 წელი - 5,928.0 ათასი ლარი.

³⁴ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16, პუნქტი 2, „თ“ ქვეპუნქტი; მუხლი 163, პუნქტი 1.

³⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 1, პუნქტები: 5, 6; მუხლი 2, პუნქტი 1.

მაჩვენებლებთან შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი, მიღებული მონაცემების აღრიცხვა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. ამ მიმართულებით, 2020-2021 წლებში 1,023.5 ათასი ლარი დაიხარჯა.

აუდიტის ჯგუფმა, მერიის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით და შესრულებული სამუშაოების ვიზუალური დათვალიერებით, შეისწავლა მუნიციპალიტეტში წყლის სისტემების ზოგადი მდგომარეობა. ქალაქ ბოლნისის და 11 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი 24 სოფლის მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია სხვადასხვა პროფილის 21 იურიდიული პირი, წყალმომარაგების ქსელის მოვლა-პატრონობისთვის არ არის შექმნილი კერძო სამართლის სუბიექტი,³⁶ რომელსაც ექნებოდა საქმიანობის ლიცენზია. შესაბამისად, თვითმმართველი ერთეული ვერ უზრუნველყოფს 6 ადმინისტრაციული ერთეულის 22 სოფლის³⁷ 4,395 ოჯახის გამართულ წყალმომარაგებას.

აღსანიშნავია, რომ წყლის მოწყობილი ზოგიერთი სისტემა, ასევე ჭაბურღილები და სათავე ნაგებობები, საიდანაც მოსახლეობას წყალი მიეწოდება, არ არის აღჭურვილი გამწმენდი ნაგებობები თ და წყლის დაქლორვის საშუალებებით.

ა(ა)იპ – ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულებამ დაუკვეთა წყლის ლაბორატორიული შემოწმება.³⁸ წარმოდგენილი ლაბორატორიული კვლევის ოქმების შესწავლით დგინდება, რომ 2020 წელს 9 საბავშვო ბაღიდან 3-ში, ხოლო 2021 წელს – 11 საბავშვო ბაღიდან – 6-ში, მათ შორის შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ოპერირების არეალშიც სასმელი წყლის ხარისხი არ შეესაბამებოდა ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მაჩვენებლებს, მიუხედავად ამისა, პრობლემის მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა შესაბამისი ღონისძიებები გატარებული.

დასკვნა

მუნიციპალიტეტი საბიუჯეტო რესურსების ნაწილს ხარჯავს წყლის სისტემების მოწყობასა და რეაბილიტაციაზე. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ნაწილს სასმელი წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება გრაფიკით, ხოლო მიწოდებული წყალი არ იწმინდება. შედეგად, სასმელი წყლის ხარისხი ზოგიერთ შემთხვევაში არ შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტებს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საქმიანობა სასმელი წყლის ხარისხის უზრუნველსაყოფად, არასაკმარისი იყო. აღნიშნული პრობლემა ატარებს სისტემურ ხასიათს, თუმცა მერიას მისი მოგვარების მიზნით, სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

³⁶ ფაქტობრივად არავინ ემსახურება წყლის სისტემების გამართვას.

³⁷ ამ სოფლებში, სადაც ცხოვრობს 4,395 ოჯახი, ფუნქციონირებს რამდენიმე ერთეული ჭაბურღილი (ქსელის გარეშე), საიდანაც მოსახლეობა წყალს იღებს ადგილზე.

³⁸ მუნიციპალიტეტში არსებობს 12 საბავშვო ბაღი. ბაღებში წყლის ლაბორატორიული შემოწმება ჩატარა შპს „გ. ნათაძის სახელობის საინტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საგამოცდო ლაბორატორიამ“.

რეკომენდაცია №6

მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს, გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით და როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

2.3.4 ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული შესყიდვის ხელშეკრულების თანახმად, შემსყიდველი ახორციელებს ინსპექტირებას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე. ინსპექტირების ჯგუფის მონიტორინგი გულისხმობს სამუშაოების დაწყებისა და მიმდინარეობაზე შესაბამისი კონტროლის განხორციელებას. ფარული სამუშაოებისა და შესრულებული სამუშაოების აქტებზე ხელის მოწერით მუნიციპალიტეტი ადასტურებს სამუშაოების შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. ტექნიკური ზედამხედველი ვალდებულია უზრუნველყოს ფარულ სამუშაოთა შესრულებაზე დაკვირვება და შესაბამისი აქტების დამოწმება, ასევე, შეატყობინოს შემსყიდველს სამშენებლო კომპანიის მიერ სამუშაოების დაწყების შესახებ.³⁹

პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მისაღები ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, მუნიციპალიტეტი ატარებს ბაზრის კვლევას.⁴⁰

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება.⁴¹ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით.⁴²

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტში შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესწავლითა და შიდა კონტროლის სისტემის შეფასებით ზოგ შემთხვევაში გამოვლინდა შეუსაბამოებები და რისკის შემცველი გარემოებები. კერძოდ:

2020 წელს მერიამ გამარტივებული შესყიდვით გააფორმა 4 ხელშეკრულება⁴³ ჭაბურღილის, სარწყავი სისტემის, მინი სტადიონისა და საჯარო სკოლის დამხმარე ნაგებობის მოსაწყობად, ხოლო 2021 წელს ტენდერის საშუალებით – 1 ხელშეკრულება⁴⁴ მოხრეშვითი სამუშაოების შესასრულებლად. ხუთივე ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ 371.9 ათასი ლარი შეადგინა. სამუშაოების შესრულების პროცესს, გამარტივებული შესყიდვების შემთხვევაში ზედამხედველობდა მხოლოდ მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი

³⁹ NAT210000209, შესყიდვის ტექნიკური დოკუმენტაცია.

⁴⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მუხლი 9, პუნქტი 6, ქვეპუნქტი „ე“.

⁴¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 317, პუნქტი 1.

⁴² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21, პუნქტი 1¹.

⁴³ CMR200089850; CMR200093407; CMR200096454; CMR200118808.

⁴⁴ NAT 210016644.

ინსპექტირების ჯგუფი, ხოლო ტენდერის შემთხვევაში – საზედამხედველო კომპანია.⁴⁵

აღნიშნული ხელშეკრულებების, ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგისა და ინსპექტირების დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმებით გამოვლინდა რისკი, რომ მხარეები მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით და მიმწოდებელმა სამუშაოები დაიწყო ხელშეკრულების გაფორმებამდე. კერძოდ:

- J) ტენდერის შემთხვევაში ფარული სამუშაოების აქტსა და საზედამხედველო კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების შემაჯამებელ ანგარიშში ასახული ინფორმაცია ეწინააღმდეგება ერთმანეთს. სამშენებლო სამუშაოების დაწყება ფარული სამუშაოს აქტში ფიქსირდება ხელშეკრულების გაფორმებამდე 15 დღით ადრე, ხოლო შემაჯამებელ ანგარიშში – ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 დღის შემდეგ;
- J) გამარტივებული შესყიდვების შემთხვევაში, სამუშაოები დაწყებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე 8, 16, 37 და 41 დღით ადრე, რაც დასტურდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ დამოწმებული ფარული სამუშაოების აქტებითა⁴⁶ და ქვეკონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მითითებული შესყიდვებიდან 3 გამარტივებული შესყიდვის⁴⁷ ფარგლებში სამშენებლო სამუშაოები დაწყებული იყო პოტენციური მიმწოდებლების მოსაძიებლად ბაზრის კვლევის პროცედურების ჩატარებამდე.⁴⁸ სამუშაოების წინასწარ დაწყებას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ თითოეული შესყიდვის ფარგლებში საკუთარი წინადადება – შევსებული ხარჯთაღრიცხვები მერიას შეთავაზა მხოლოდ იმ კომპანიებმა, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება.

შესყიდვის ხელშეკრულების გარეშე სამუშაოს დაწყება კანონშეუსაბამოაა. ვინაიდან შესყიდვის ხელშეკრულებები, ინსპექტირებისა და ზედამხედველობის ანგარიშები შეიცავს შეუსაბამოებს სამუშაოების დაწყებისა და მიმდინარეობის შესახებ, საჭიროა კერძო სამართლის სუბიექტების გამოკითხვა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატიდან გამომდინარე, კერძო სამართლის სუბიექტის შემოწმება სცილდება აუდიტის კომპეტენციას. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოების მიერ.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო ინფრასტრუქტურული პროექტების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელება. მერიამ შესყიდული სამუშაოების შესრულების პროცესი დაუშვა ხელშეკრულების გაფორმებისა და სათანადო ვალდებულების წარმოშობის გარეშე. ამასთანავე, მუნიციპალიტეტში პოტენციური მიმწოდებლების შერჩევა და ინსპექტირების ჯგუფის/საზედამხედველო კომპანიის მიერ ჩატარებული

⁴⁵ 2021 წელს 50.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოებს ამოწმებდა შპს „ოპტიმალ გრუპი“.

⁴⁶ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ფარული სამუშაოების აქტებში თარიღების მითითებისას მოხდა ტექნიკური ხარვეზი.

⁴⁷ CMR200093407; CMR200096454; CMR200118808.

⁴⁸ ფარული სამუშაოების აქტებით დადასტურებული სამუშაოების დაწყებიდან 3 დღის, 9 დღისა და 30 დღის შემდეგ მერიამ სხვადასხვა კომპანიას გაუგზავნა შეტყობინება ფასთა გამოკითხვის შესახებ.

სამუშაოები პრაქტიკულად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. არსებობს რისკი, რომ შესაბამისი პასუხისმგებელი პირები შესაძლოა მოქმედებდნენ არა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, არამედ კონკრეტული მიმწოდებლების ინტერესების სასარგებლოდ, სასურველ კომპანიებთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით.

2.4 შრომის ანაზღაურება

2.4.1 წახალისების გაცემის შეუსაბამობა

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,⁴⁹ სახელფასო დანამატი წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის განსაზღვრულ თანხას, ხოლო ფულადი ჯილდო – მოხელის შეფასების შედეგების შესაბამისად წახალისების საშუალებას. მოხელეს სახელფასო დანამატი ეძლევა ზემდგომი თანამდებობის პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგინების საფუძველზე, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.⁵⁰ წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი სახელფასო დანამატის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 20%-ს, ხოლო ფულადი ჯილდო – თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 10%-ს.⁵¹ ამასთან, პოლიტიკური თანამდებობის პირებს სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო არ ეძლევათ.⁵²

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის მოსამსახურეებზე დამატებითი ანაზღაურების სახით გაიცა ჯამში – 309.9 ათასი ლარი. მათ შორის: 2020 წელს სახელფასო დანამატი – 19.8 ათასი ლარი;⁵³ 2021 წელს სახელფასო დანამატი – 219.3 ათასი ლარი, ხოლო ფულადი ჯილდო – 70.8 ლარი. საკითხის შესწავლით გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანება, კერძოდ:

- 1) 2021 წელს პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე – მერის მოადგილეებზე კანონმდებლობის შეუსაბამოდ გაიცა სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო, ჯამში 32.3 ათასი ლარი;
- 2) 2021 წელს მოსამსახურეებზე გაცემული დანამატი 2 შემთხვევაში, ხოლო ჯილდო 12 შემთხვევაში აღემატებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ წლიურ ოდენობას, ჯამში 10.1 ათასი ლარის ოდენობით;⁵⁴
- 3) 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე გაცემულია დანამატი სულ 183 შემთხვევაში, აქედან 114 შემთხვევაში დანამატი გაიცა მხოლოდ დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა დასაბუთება შესაბამის თანამდებობის

⁴⁹ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „დ“ და „ვ“.

⁵⁰ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, მუხლი 9, პუნქტი 2.

⁵¹ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, მუხლი 26, მუხლი 28, პუნქტი 1.

⁵² საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, მუხლი 20 და 21.

⁵³ 2020 წელს ფულადი ჯილდო არ გაცემულა.

⁵⁴ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2021 წლის თებერვალში მოსამსახურეებზე ჯილდო გაიცა 2020 წლის შეფასების შედეგების საფუძველზე.

პირებზე დანამატების გაცემასთან დაკავშირებით. დაუსაბუთებლად გაცემული დანამატების ოდენობამ ჯამში 174.6 ათასი ლარი შეადგინა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მერიის მიერ გაცემული დანამატები და ჯილდოები, სულ 217.0 ათასი ლარი გაიცა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტმა საჭიროა გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

2.5 ქონების მართვა და განკარგვა

2.5.1 ქონების მართვაში არსებული ხარვეზები და მიუღებელი საიჯარო თანხა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ორგანოები ქონებრივი უფლებების განხორციელებისას ვალდებული არიან, დაიცვან მუნიციპალიტეტის, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესები და ქონებრივი უფლებები განახორციელონ მოსახლეობის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით.⁵⁵

ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, თვითმმართველი ერთეული ვალდებულია უზრუნველყოს უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი საფასურის ჩარიცხვა ადგილობრივ ბიუჯეტში,⁵⁶ რაც მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ერთ-ერთი წყაროა.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტი ფლობდა 494-მდე დასახელების სხვადასხვა დანიშნულების უძრავ ქონებას. მერიამ ვერ უზრუნველყო საკუთრებაში არსებული აქტივების სათანადო განკარგვა. შედეგად, მუნიციპალური ქონება გამოყენებულია არაუფლებამოსილი პირების მიერ და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სრულად არ არის მიღებული საიჯარო შემოსავლები. კერძოდ:

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განუკარგავი ქონების მდგომარეობა. გამოვლინდა 32 შემთხვევა, როდესაც მუნიციპალური ქონებით, ჯამში – 223 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობდნენ არაუფლებამოსილი პირები, რომლებიც ფართით სარგებლობისთვის არ იხდიდნენ შესაბამის საფასურს. (იხ. დანართი №3)

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული მიწებით დაინტერესებული პირები წლების განმავლობაში უკანონოდ სარგებლობენ. 2020-2021 წლებში საკითხის სამართლებრივი დარეგულირებისთვის მერიას რაიმე სახის ქმედითი ღონისძიება არ გაუტარებია. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის წინა აუდიტის პერიოდშიც გამოვლინდა ანალოგიური დარღვევები. კერძოდ, 13 შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავ-სათეს მიწას, ჯამში 208 ჰა-ს იყენებდნენ არაუფლებამოსილი პირები. მიუხედავად ამისა, მერიამ არც 2020-2021 წლებში გაითვალისწინა აუდიტის სამსახურის მიერ წინა აუდიტის პერიოდში გამოვლენილი გარემოება.

⁵⁵ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლები: 109 და 110.

⁵⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების შესახებ“, მუხლი 28, პუნქტი 1.

აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ, მუნიციპალიტეტმა გააფრთხილა 24 სასოფლო-სამეურნეო მიწით უკანონოდ მოსარგებლე პირები, ხოლო 2 შემთხვევაში მიმართა სასამართლოს.

მერია საიჯარო თანხებს სრულად ვერ იღებდა საიჯარო ხელშეკრულებების პირობებშიც. კერძოდ: მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში მოქმედებდა 41 საიჯარო ხელშეკრულება. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა, რომ 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 17 ხელშეკრულების ფარგლებში სრულად არ იყო გადახდილი საიჯარო ქირა. გადაუხდელი თანხა სულ შეადგენდა 11.3 ათას ლარს.⁵⁷

მიუხედავად იმისა, რომ მოიჯარეები არღვევდნენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და დროულად არ იხდიდნენ საიჯარო თანხებს, კუთვნილი თანხების ამოსაღებად მუნიციპალიტეტს მათ მიმართ სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ დაიცვა თავისი, როგორც მესაკუთრის ინტერესები, რადგან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო იჯარიდან მისაღები შემოსავლის სრულად და დროულად მობილიზება. ქონების მართვასა და განკარგვაში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების გამო, მუნიციპალიტეტი კარგავს კუთვნილი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია №7

მერიამ, საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს ქონების მართვის სტრატეგია და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქონების მონიტორინგისა და განკარგვის გაუმჯობესებას, ქონების თვითნებურად დაკავების თავიდან აცილებას ან/და დროულად გამოვლენას. ამასთანავე, მერიამ განახორციელოს შესაბამისი რეაგირება მუნიციპალური ქონების არაუფლებამოსილი პირების მიერ გამოყენების შემთხვევებთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური ქონების მართვის პროცესის გაუმჯობესებას და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას.

2.6 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

2.6.1 ავტოპარკის რაოდენობასთან და ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით,⁵⁸ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად რეკომენდებული იყო 7 სამორიგეო ავტომანქანა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვათ მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე მიიღონ ნორმატიული აქტი, დადგენილებით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.

⁵⁷ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში საიჯარო დავალიანება შემცირდა და შეადგინა 2.3 ათასი ლარი.

⁵⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის შესახებ“, მუხლი 5.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო პრიორიტეტულად მიიჩნევს საწვავით გამართვა განხორციელებას აგაი სისტემის გამოყენებით,⁵⁹ ვინაიდან სხვა საშუალებები ვერ უზრუნველყოფს საწვავის ხარჯვაზე სათანადო კონტროლს.

ფაქტობრივი გარემოება: მერიამ ვერ წარმოადგინა ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის შესახებ მიღებული სამართლებრივი აქტი. მთავრობის დადგენილება თვითმმართველობებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი შესრულება.

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტში სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა რეკომენდებულ ზღვრულ ნორმას. კერძოდ, ნაცვლად 7 სამორიგეო მანქანისა, მუნიციპალიტეტი 2020 წელს სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 11, ხოლო 2021 წელს 13 სამორიგეო ავტომანქანით, ასევე 2020-2021 წლებში გამოიყენებოდა 73 ერთეული კერძო საკუთრებაში არსებული ავტომობილი. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა აღემატებოდა რეკომენდებულ ზღვარს, მერიამ 2021 წელს იყიდა 2 ერთეული ახალი სამორიგეო მანქანა, ღირებულებით 167.1 ათასი ლარი.

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა გახარჯა 600.9 ათასი ლარის ღირებულების საწვავი.⁶⁰ აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ავტომობილებზე საწვავის ხარჯვის დოკუმენტაცია, მათ შორის აგაი სისტემის მონაცემები. გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებებში ერთჯერადად ჩასხმულია ავტომობილების ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობის საწვავი. კერძოდ, 2020-2021 წლებში გამოვლინდა 31 სატრანსპორტო საშუალებაზე ავტომობილის ავზის მოცულობაზე გადაჭარბებით საწვავის ჩასხმის 113 შემთხვევა.⁶¹ ამ ავტომანქანებში ჯამურად სულ ჩასხმულია 7,588.6 ლიტრი საწვავი. (იხ. დანართი №4)

ასევე შესამოწმებელ პერიოდში გამოიკვეთა მინიმუმ 25 ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დროის მცირე მონაკვეთში არაერთგზის და ავზის მოცულობასთან შედარებით შეუსაბამოდ მეტი ოდენობით საწვავის ჩასხმის 45 ფაქტი. (იხ. დანართი №5)

აღსანიშნავია, რომ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ 247 შემთხვევაში 7.7 ტონამდე საწვავი მერიისა და კერძო საკუთრებაში მყოფ 42 ავტომობილში ჩასხმულია სხვადასხვა ქალაქში ისეთ დროს, როდესაც მუნიციპალიტეტში დასაქმებული პირები არ იმყოფებოდნენ ქვეყნის შიგნით სამსახურებრივ მივლინებაში. (იხ. დანართი №6). გარდა ამისა, 275 შემთხვევაში 7.5 ტონამდე საწვავი გახარჯულია თანამშრომლების შვებულებაში/ბიულეტენზე ყოფნის დროს როგორც მერიის, ასევე კერძო საკუთრებაში მყოფ 41 ავტომობილში (იხ. დანართი №7).

⁵⁹ აგაი სისტემა – სისტემა/საშუალება, რომლის გამოყენებით ავტორიზებული ავტომობილის ავზზე მონტაჟდება სპეციალური ჩიპი (მეხსიერების ბარათი), რომლის საშუალებითაც ხდება ავტომობილის იდენტიფიცირება ავტოგასამართ სადგურზე.

⁶⁰ მათ შორის: 264.5 ათასი ლიტრი ბენზინი, ღირებულებით 572.5 ათასი ლარი და 12.8 ათასი ლიტრი დიზელი, ღირებულებით - 28.4 ათასი ლარი.

⁶¹ დათვლილია მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც საწვავი ჩასხმულია ავზის მოცულობაზე ხუთი და მეტი ლიტრის ზევით.

მერიის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი საჭიროებისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები. გამოვლინდა, რომ აგაი სისტემის „ჩიპი“ მყარად არ იყო დამაგრებული სამ და მოხსნილი იყო, ასევე, სამ ავტომანქანაზე. აქედან, სამი „ჩიპის“ ადგილმდებარეობა პასუხისმგებელმა პირებმა ვერ დაადგინეს. შესაბამისად, შესაძლებელია აგაი სისტემის „ჩიპის“ გამოყენება სხვა მანქანებზეც. აღნიშნული გარემოებები წარმოშობს არაავტორიზებულ ავტომანქანებში საწვავის ჩასხმისა და მისი არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

დასკვნა

მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმატიული აქტი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე. მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას.

საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს. ასევე, აგაი სისტემის არსებული მეთოდით გამოყენება, მათ შორის, ავტომობილის ავზიდან დამაგრებული „ჩიპის“ მოხსნისა და გადაადგილების შესაძლებლობა, ერთჯერადად ავტომობილების ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობით საწვავის ჩასხმის ფაქტები, წარმოშობს არასამსახურებრივი ავტომობილების საწვავით გამართვის რისკებს.

რეკომენდაცია №8

მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს წესი, რითაც დარეგულირდება სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობა და განისაზღვრება საწვავისა და მოვლა-შენახვის ხარჯვის კონტროლის მექანიზმები; საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია მერიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმ(ებ)ი და შეიმუშაოს სათანადო პროცედურები, მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაციისას უფლებამოსილი პირების მიერ დამონტაჟებული საწვავის „ჩიპების“ მთლიანობის შემოწმება; სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა.

2.6.2 მივლინების ხარჯის შეუსაბამობა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტმა საკუთარი ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, მოხელე შესაძლებელია გაგზავნოს მივლინებით ქვეყნის ფარგლებს გარეთ.⁶² ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების

⁶² საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილება პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, მუხლი 2, პუნქტი 1.

პროცესის გაუმჯობესებისათვის, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად თითოეული დაწესებულება შეიმუშავებს ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარ სისტემას. ფინანსური მართვა და კონტროლი მოიცავს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ პროცესებს, ოპერაციებსა და ქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁶³

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მოსამსახურეთა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას, 3 შემთხვევაში დახარჯა 53.2 ათასი ლარი.⁶⁴ თვითმმართველ ერთეულს არ აქვს შემუშავებული რაიმე წესი საჯარო მოხელის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებებთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები სამივლინებო თანხების ეფექტიანად გამოყენების შესახებ. კერძოდ, არ მომზადებულა რაიმე სახის ინფორმაცია, რაც დაადასტურებდა მივლინებებით დასახული მიზნებისა და მიღწეული კონკრეტული შედეგების შეფასებას (სამართლებრივი აქტები, სათათბირო გადაწყვეტილებები მივლინების შედეგებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ; მივლინებული პირების ანგარიშები მივლინების შედეგებისა და მიღებული ცოდნა/გამოცდილების განვრცობის თაობაზე და სხვ.). შესაბამისად, სათანადოდ არ არის დასაბუთებული მივლინებების საჭიროება, მუნიციპალიტეტების ინტერესებთან კავშირში.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემები არ მოიცავს სამივლინებო ხარჯების ეფექტიანობის შეფასებას. 2020-2021 წლებში საჯარო მოხელეების ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისთვის 53.2 ათასი ლარი დახარჯულია ისე, რომ მუნიციპალური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით მივლინების შედეგების პრაქტიკაში გამოყენება დოკუმენტურად არ დასტურდება. არსებობს რისკი, რომ მივლინების მიზანი ზოგ შემთხვევაში განსაზღვრული არ არის თვითმმართველი ერთეულის საჭიროებიდან გამომდინარე. შესაბამისად, სამივლინებო თანხები გამოყენებულია არარაციონალურად.

რეკომენდაცია №9

მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს წესი საჯარო მოხელის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების შესახებ. აღნიშნული წესით მიზანშეწონილია განისაზღვროს მივლინების მიზნები, რომელიც შეესაბამება მუნიციპალიტეტის საჭიროებებს და ინტერესებს. დოკუმენტი უნდა ითვალისწინებდეს ღონისძიებათა გეგმას მივლინების შედეგების მუნიციპალიტეტის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით გამოყენების შესახებ და ასევე მივლინებული პირების მიერ ანგარიშების წარმოდგენას მიღებული ცოდნა/გამოცდილების განვრცობის თაობაზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამივლინებო ხარჯების ეფექტიანობის გაზრდას.

⁶³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6.

⁶⁴ 2020 წელი - 1.4 ათასი ლარი, 2021 წელი - 51.8 ათასი ლარი.

2.6.3 საკონსულტაციო მომსახურების შეუსაბამობა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტში დასაქმებული მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობები, რომლებიც განსაზღვრულია კანონით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და სხვა სამართლებრივი აქტებით. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1% მიმართოს მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის.⁶⁵ ამასთანავე, მიზანშეწონილი არ არის დამატებით საკონსულტაციო კომპანიის დაქირავება იმავე ფუნქციების შესასრულებლად, რაც მოქმედ მოხელეებს ევალებათ.

მუნიციპალიტეტი თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობის შესაბამისად შეისყიდის საქონელს, მომსახურებასა და სამუშაოებს.⁶⁶ სახელმწიფო შესყიდვების მიზანია ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის დაცვა.⁶⁷

ფაქტობრივი გარემოება: 2018-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა და მის მიერ დაფუძნებულმა იურიდიულმა პირებმა მემორანდუმები გააფორმეს ა(ა)იპ – საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციასთან.⁶⁸ მემორანდუმების ფარგლებში, 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა ასოციაციას გადაუხადა 136.3 ათასი ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციით, ასოციაცია მერიას ეხმარება საკუთრებაში არსებული ქონების აღწერაში, მოსამსახურეებისათვის ტარდება ტრენინგები და სხვ.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, თუ რა აუცილებლობით იყო განპირობებული მემორანდუმის გაფორმება. მუნიციპალიტეტი ვალდებულია საქმიანობისას გამოიყენოს საკუთარი შრომითი რესურსი, ხოლო დაბალი კვალიფიკაციის შემთხვევაში დაგეგმოს მოხელეების გადამზადება. ამასთანავე, მოხელეებისთვის პროფესიული განვითარების ტრენინგების საჭიროებისას – მომსახურება შეისყიდოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი გაწევრიანებულია ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციაში, რისთვისაც იხდის საწევრო გადასახადს.⁶⁹ ასოციაციის ფუნქციებია მუნიციპალიტეტების განვითარების კოორდინაცია და პრობლემათა იდენტიფიკაცია, ადგილობრივი თვითმმართველობების კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მოხელეთა სწავლების ორგანიზება, არსებული პრაქტიკული გამოცდილებისა და მიღწევათა განზოგადება და დანერგვა, პროფესიული ეთიკის ნორმების დამკვიდრება, მეთოდოლოგიური და სარეკომენდაციო მასალების მომზადება და გავრცელება, ადგილობრივი თვითმმართველობების და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის

⁶⁵ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 101, პუნქტი 2.

⁶⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 3. პუნქტი 1, ქვეპუნქტები: „ჟ“ და ს 1.

⁶⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2.

⁶⁸ მემორანდუმის თანახმად, ასოციაცია უზრუნველყოფს კორპორაციული წევრის მონაწილეობას სახელმწიფო პოლიტიკის ფისკალურ საქმეებში, განსაზღვრავს თვითმმართველობის ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკის ძირითად პრობლემებს, დახმარებას უწევს კორპორაციულ წევრს ბიუჯეტის ფორმირებაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების აღრიცხვიანობის მოწესრიგებაში, უწევს კონსულტაციებს სხვადასხვა საკითხში.

⁶⁹ 2020-2021 წლებში გადახდილია 8.8 ათასი ლარი.

დიალოგის ხელშეწყობა და სხვ.⁷⁰ ფუნქციონირებს მრავალფეროვნებისა და საწევრო შენატანების მიუხედავად, მუნიციპალიტეტმა სათანადოდ არ გამოიყენა თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის შესაძლებლობები.

დასკვნა

მუნიციპალიტეტს საკუთარი შრომითი რესურსის გამოყენებით შეეძლო მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილ საკონსულტაციო მომსახურებაზე ხარჯი არ გაეწია. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილი 136.3 ათასი ლარი არარაციონალური ხარჯია.

რეკომენდაცია №10

მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით მჭიდროდ ითანამშრომლოს ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციასთან და საჭიროებიდან გამომდინარე დაგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა და ზოგადი განვითარებისათვის. აღნიშნული დაზოგავს საბიუჯეტო თანხებს და სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად ხელს შეუწყობს საქმიანობის კოორდინაციასა და გაუმჯობესებას.

2.6.4 ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს დაფინანსების საჭიროება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი ვალდებულია ბიუჯეტის შედგენისას და, შესაბამისად, ხარჯების დაგეგმვისას გაითვალისწინოს ის პრიორიტეტები, რომლებიც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იქნება მიმართული.⁷¹

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა ა(ა)იპ – ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო დააფინანსა 90 ათასი ლარით.⁷² სააგენტოს მიზანია ხელი შეუწყოს ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას, ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას, მეწარმეების გაძლიერებისთვის საჭირო ინფორმაციის/სერვისების მიწოდებას და რეგიონში ინვესტიციების მოზიდვას. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია იმის შესახებ, რა აქტივობები და ღონისძიებები განახორციელა ა(ა)იპ – ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტომ თვითმმართველი ერთეულისათვის.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ა(ა)იპ დააფინანსა ისე, რომ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია დახარჯული საბიუჯეტო სახსრებიდან რა სარგებელი მიიღო მუნიციპალიტეტმა. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეული 90.0 ათასი ლარის ხარჯის მიზანშეწონილობა არ არის სათანადოდ დასაბუთებული. მიზანშეწონილია, მერიამ იმსჯელოს გადახდილი თანხის შესაბამისი რა სარგებელი მიიღო მუნიციპალიტეტმა და რამდენად პასუხობს ა(ა)იპ-ის მიერ გაწეული საქმიანობა მუნიციპალიტეტის ინტერესებს.

⁷⁰ ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის წესდება, მუხლი 2.

⁷¹ საკრებულოს 2019 წლის 16 დეკემბრის №35 დადგენილება „ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; საკრებულოს 2020 წლის 21 დეკემბრის №31 დადგენილება „ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

⁷² წელიწადში - 45.0 ათასი ლარი.

2.6.5 საკრებულოს წევრებზე დაუსაბუთებლად ანაზღაურებული ხარჯები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად,⁷³ მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,⁷⁴ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც აღინიშნება დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტში საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების ხარჯები გაიცემოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული დადგენილებით.⁷⁵ დადგენილების მიხედვით, საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის, საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) ხარჯების ასანაზღაურებლად განესაზღვრათ ზღვრული მოცულობა, 795 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებს, 2020-2021 წლებში ხარჯების ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ სულ 200.2 ათასი ლარი.⁷⁶ მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს წევრებზე ანაზღაურებულია დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური თანხები, რაც მიანიშნებს დაუსაბუთებლად თანხების გაცემაზე, რადგან შეუძლებელია საკრებულოს ყველა წევრს ჰქონდეს ერთი და იგივე შესასრულებელი დავალებები და იდენტური ხარჯი.

⁷³ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41.

⁷⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქცია“, მუხლი 5; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ“, მუხლი 6 და 7.

⁷⁵ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №48 დადგენილება „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

⁷⁶ 2020 წელს - 97.5 ათასი ლარი, 2021 წელს - 102.7 ათასი ლარი.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 200.2 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

2.7 მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების დაფინანსება და საქმიანობა

2.7.1 ა(ა)იპ/შპს-ების საქმიანობაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ დაწესებულების ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში (ერთეულში) და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში, რაც უზრუნველყოფს ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას. დაწესებულების ხელმძღვანელი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დაკისრებული მოვალეობის ეფექტიანად შესასრულებლად შეიმუშავებს და აყალიბებს ოპტიმალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას.⁷⁷

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 38%-ს სუბსიდია შეადგენდა. „სუბსიდიის“ მუხლით დაფინანსებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 21 სუბიექტი, რომელთა ხარჯმა 27,840.4 ათასი ლარი შეადგინა.⁷⁸ მუნიციპალურ იურიდიულ პირებში 2020 წელს დასაქმებული იყო 1645, ხოლო 2021 წელს – 1780 პირი.

მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაფუძნებული სუბიექტების ფუნქციური დატვირთვის, ფულადი სახსრების ეკონომიურად გამოყენებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის მხრივ მიმდინარეობდა სისტემური ხარვეზებით. დაფუძნებული ა(ა)იპ/შპს-ების საქმიანობის შესწავლით გამოვლინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დასაქმებულთა ფუნქცი-მოვალეობები გაურკვეველია, ვინაიდან არ არსებობდა შესაბამისი საქმიანობის შესრულების აუცილებლობა, ვერ იქნა წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულებები და სხვ. კერძოდ:

1) 2020-2021 წლებში ა(ა)იპ – სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელ კომპლექსში დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობდა 138-დან 148-მდე. მათ შორის 2020 წელს დასაქმებული იყო 43, ხოლო 2021 წელს 47 სპეციალისტი, რომელთა ხელფასებზე დაიხარჯა 504.6 ათასი ლარი. აღნიშნული პირების შრომითი ხელშეკრულებები არ მოიცავს სამუშაო აღწერილობას. ა(ა)იპ-მა ვერ წარმოადგინა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტური მტკიცებულებები.

2) 2020-2021 წლებში ა(ა)იპ – ბოლნისის მიუდოს სკოლაში დასაქმებულთა რაოდენობა იყო 41. მათ შორის დასაქმებული იყო 8 სპეციალისტი და 1 კოორდინატორი, რომელთა ხელფასებზე დაიხარჯა 108.2 ათასი ლარი. აღნიშნული პირების შრომითი ხელშეკრულებები არ მოიცავს სამუშაო

⁷⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“. მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი, პუნქტი 2; მუხლი 8, პუნქტი 1, „ვ“ ქვეპუნქტი.

⁷⁸ 2020 წელს – 12,954.8 ათასი ლარი, ხოლო 2021 წელს – 14,885.6 ათასი ლარი.

აღწერილობას. ა(ა)იპ-მა ვერ წარმოადგინა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტური მტკიცებულებები.

- 2020-2021 წლებში ა(ა)იპ – ბოლნისის კორპუსში⁷⁹ დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობდა 49-დან 73-მდე. მათ შორის 2020 წელს დასაქმებული იყო 22, ხოლო 2021 წელს 40 სპეციალისტი, რომელთა ხელფასებზე დაიხარჯა 336.8 ათასი ლარი. აღნიშნულ პირებს ევალებოდათ კორპუსების საკანალიზაციო ქსელის და სანიაღვრე არხების გაწმენდა. თუმცა ა(ა)იპ-მა ვერ წარმოადგინა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტური მტკიცებულებები.
- 2020-2021 წლებში ა(ა)იპ – ბოლნისის მუნიციპალიტეტის სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახურში დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობდა 84-დან 87-მდე. მათ შორის 2020 წელს დასაქმებული იყო 31, ხოლო 2021 წელს 32 მომვლელი, რომელთა ხელფასებზე დაიხარჯა 332.1 ათასი ლარი. აღნიშნული პირების შრომითი ხელშეკრულებები არ მოიცავს სამუშაო აღწერილობას, თუ რისი მოვლა ევალებათ. მათ პრაქტიკულად ფუნქციური დატვირთვა არ აქვთ. ა(ა)იპ-მა ვერ წარმოადგინა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტური მტკიცებულებები. აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი და შესაფერისი რწმუნება, თუ რა აუცილებლობას წარმოადგენს ამ რაოდენობის მომვლელთა საჭიროება, როდესაც ა(ა)იპ-ს ჰყავს ცენტრალური სტადიონის 5 და მინი სტადიონების 7 მომვლელი.
- 2020-2021 წლებში შპს – რიტუალების მომსახურების სააგენტოში⁸⁰ დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობდა 79-დან 81-მდე. მათ შორის დასაქმებული იყო ადმინისტრაციის 15 სპეციალისტი და რიტუალების სახლების 19 სპეციალისტი, რომელთა ხელფასებზე დაიხარჯა 380.0 ათასი ლარი. ადმინისტრაციის სპეციალისტების შრომითი ხელშეკრულებები არ მოიცავს სამუშაო აღწერილობას. ა(ა)იპ-მა ვერ წარმოადგინა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტური მტკიცებულებები. რაც შეეხება, რიტუალების სახლების სპეციალისტებს, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი და შესაფერისი რწმუნება, თუ რა აუცილებლობას წარმოადგენს ამ რაოდენობის სპეციალისტთა საჭიროება, როდესაც 2020-2021 წლებში სარიტუალო სახლები პრაქტიკულად არ ფუნქციონირებდა, ხოლო შენობების გამოყენების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში არიან მერის წარმომადგენლები და მათი სპეციალისტები.
- 2020-2021 წლებში შპს – დეზ-ეფექტი⁸¹ დასაქმებულთა რაოდენობა იყო 20. მათ შორის 2020 წელს დასაქმებული იყო 6, ხოლო 2021 წელს 7 სპეციალისტი, რომელთა ხელფასებზე დაიხარჯა 85.8 ათასი ლარი. აღნიშნული პირების შრომითი ხელშეკრულებები არ მოიცავს სამუშაო აღწერილობას. შპს-მ ვერ

⁷⁹ ევალებათ კორპუსების ლიფტების და საკანალიზაციო ქსელის მოვლა.

⁸⁰ ევალებათ სასაფლაოების და რიტუალების სახლების მოვლა.

⁸¹ ადმინისტრაციული შენობების დეზინფექცია.

წარმოადგინა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტური მტკიცებულებები.

- ს) 2020-2021 წლებში შპს – კულტურისა და დასვენების პარკში დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობდა 33-დან 42-მდე. მათ შორის დასაქმებული იყო შპს-ს დირექტორის 2 მოადგილე და 5 მეზღვე დიზაინერი, რომელთა ხელფასებზე დაიხარჯა 91.1 ათასი ლარი. შპს-მ ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, თუ რა აუცილებლობას წარმოადგენს დირექტორის 2 მოადგილის შტატის საჭიროება. რაც შეეხება მეზღვე-დიზაინერებს, მათ პრაქტიკულად ფუნქციური დატვირთვა არ აქვთ. შპს-მ ვერ წარმოადგინა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტური მტკიცებულებები.
- ს) დაფუძნებულ შპს-ებსა და ა(ა)იპ-ებში ერთი ფიზიკური პირი ერთდროულად დასაქმებული იყო ორ ან მეტ პოზიციაზე. მაგალითად, 2020 წელს გამოვლინდა ასეთი შემთხვევების 18, ხოლო 2021 წელს 21 ფაქტი.⁸² შესაბამისად, გაურკვეველია მოცემულ პერიოდში სხვადასხვა დაწესებულებაში დასაქმებით ერთიდაიმავე პირს რატომ უნაზღაურდებოდა გასამრჯელო სრული განაკვეთის მიხედვით, როდესაც საშტატო პოზიციებით გათვალისწინებულ მოვალეობას სრული განაკვეთით პრაქტიკულად ვერ შეასრულებდა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სუბიექტების საქმიანობისა და მართვის კონტროლში არსებული სისუსტეების შედეგად, ზოგიერთი დასაქმებულის შრომით ხელშეკრულებებს სამუშაო აღწერილობა არ გააჩნია, ხოლო ზოგიერთი დასაქმებული პრაქტიკულად არ არის ფუნქციურად დატვირთული. აღნიშნული შეუსაბამობები გამოვლინდა მინიმუმ 170 დასაქმებულის შემთხვევაში, რომელთა ხელფასებზე გაცემული 1,838.6 ათასი ლარი არარაციონალურ ხარჯს წარმოადგენს. აუდიტის ანგარიშში წარმოდგენილია რამდენიმე მაგალითი, ა(ა)იპ/შპს-ებში კადრების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ. გარდა ზემოთ აღნიშნული მაგალითებისა, შესაძლოა არსებობდეს სხვა მსგავსი შემთხვევებიც, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ/შპს-ებში კადრების მართვასა და საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებული სისტემური ხარვეზების შესახებ.

რეკომენდაცია №11

მერიამ, საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი და ეკონომიური განკარგვის პრინციპებს. სტრატეგიის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში მერიამ შეაფასოს სუბიექტების საქმიანობის მიმართულებები და სარგებლიანობა. ასევე, შეისწავლოს ორგანიზაციებში არსებული საკადრო პოლიტიკა, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრისა და რეალური საჭიროების მხრივ. საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს თანამშრომელთა სათანადო ფუნქციური დატვირთვა ან საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია. აღნიშნული

⁸² 2020 წელი: 2 ორგანიზაციაში დასაქმებული - 15 შემთხვევა; 3 ორგანიზაციაში დასაქმებული - 2 შემთხვევა; 5 ორგანიზაციაში დასაქმებული - 1 შემთხვევა. 2021 წელი: 2 ორგანიზაციაში დასაქმებული - 18 შემთხვევა; 3 ორგანიზაციაში დასაქმებული - 2 შემთხვევა; 5 ორგანიზაციაში დასაქმებული - 1 შემთხვევა.

ხელს შეუწყობს იურდიული პირების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასა და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

2.8 მოსაკრებლები

2.8.1 დასუფთავების მიუღებელი მოსაკრებელი

კრიტერიუმი: საკრებულოს დადგენილებით,⁸³ ტერიტორიის დასუფთავებისათვის მუნიციპალიტეტში არსებული ორგანიზაციებისათვის, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურდიული პირებისათვის განსაზღვრულია მოსაკრებლის გადახდა. დებულების თანახმად,⁸⁴ დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება ევალება მერიის ზედამხედველობის სამსახურს. დადგენილი მოსაკრებლის გადაუხდელობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დავალიანების მქონე პირების მიმართ გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებლის სახით მიღებულია 219.8 ათასი ლარი.⁸⁵ აღნიშნული თანხა მობილიზებულია სხვადასხვა ორგანიზაციიდან და მეწარმე სუბიექტებიდან.

მერიის მიერ მოწოდებული მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის მიხედვით, 2020-2021 წლებში ორგანიზაციებიდან და მეწარმე სუბიექტებიდან დასუფთავების მოსაკრებელი მუნიციპალიტეტს უნდა მიეღო 260.9 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, მოცემულ პერიოდში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა მხოლოდ ორგანიზაციებიდან და მეწარმე სუბიექტებიდან დასუფთავების მოსაკრებლის სახით ვერ მიიღო 41.1 ათასი ლარი.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მერიამ ვერ უზრუნველყო მოსაკრებლის ამოღების სათანადო ადმინისტრირება. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ მიიღო დასუფთავების მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

რეკომენდაცია №12

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდევინების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზებას. მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც შეამცირებს მოსაკრებლის ადმინისტრირებისათვის დახარჯულ რესურსს და ამასთანავე, გაზრდის ამოღების მაჩვენებელს.

⁸³ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 დეკემბრის №47 დადგენილება „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრის, გადახდის ინსტრუქციისა და დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრის ფორმის დამტკიცების შესახებ“.

⁸⁴ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 დეკემბრის №46 დადგენილება „მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 3.

⁸⁵ 2020 წელს მიღებულია 103.9 ათასი ლარი, 2021 წელს - 115.9 ათასი ლარი.

2.9 საბიუჯეტო პროცესი

2.9.1 საბიუჯეტო ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტში გათვალისწინებული საკუთარი შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლების (მოცულობის) ყოველწლიური ზრდის⁸⁶ საფუძველზე მიღებული გაზრდილი ფინანსური რესურსები შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ არაფინანსური აქტივების ზრდასთან დაკავშირებული გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების (გზები, სპორტული და საადმინისტრაციო დაწესებულებები, სხვა ობიექტები) მოვლა-შენახვისა და ფუნქციონირებისთვის საჭირო სახსრებისა.⁸⁷

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტების შესწავლით გამოვლინდა ხარვეზი. კერძოდ: მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით საკუთარი შემოსულობები განისაზღვრა 21,926.0 ათასი ლარის ოდენობით. 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 28,559.0 ათასი ლარის საკუთარი შემოსულობები, ანუ გაზარდა 6,633.0 ათასი ლარით. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი გაზარდა მხოლოდ 1,171.0 ლარით. შემოსულობების მატება მუნიციპალიტეტმა ძირითადად დაგეგმა ხარჯებში. კერძოდ, გაზარდა „შრომის ანაზღაურების“, „სუბსიდიებისა“ და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლები.⁸⁸

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა წლის განმავლობაში წარმოქმნილი ჭარბი შემოსავლები, ნაცვლად არაფინანსური აქტივების ზრდით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებისა, გამოიყენა ხარჯების დასაფინანსებლად. აღნიშნულით დაირღვა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული მოთხოვნა.

2.9.2 დელეგირებული უფლებამოსილების საკუთარი შემოსავლიდან დაფინანსების ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილებების დელეგირების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა უნდა მოითხოვოს შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსი.⁸⁹

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტს დელეგირებული ჰქონდა ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებების ნაწილი.⁹⁰ აღნიშნული უფლებამოსილების განსახორციელებლად, მიზნობრივი ტრანსფერის სახით მუნიციპალიტეტმა მიიღო 1,939.0 ათასი ლარი. გარდა მიზნობრივი ტრანსფერისა, 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა გამოიყენა საკუთარი ფინანსური რესურსი და დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსების მიზნით დამატებით დახარჯა 844.2 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა გამოყენებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სამხედრო აღრიცხვის დაფინანსების მიზნით, რომლის დაგეგმვა და გაანგარიშებაც მუნიციპალიტეტს შეეძლო წინასწარ. მუნიციპალიტეტს დელეგირებული უფლებამოსილების

⁸⁶ დასაგეგმი საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულ საკუთარ შემოსულობებსა და წინა წლის დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულ საკუთარ შემოსულობებს შორის დადებითი სხვაობისას.

⁸⁷ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 155, პუნქტი 3.

⁸⁸ შრომის ანაზღაურება გაზარდა 359.0 ათასი ლარით, სუბსიდიები 3,279.0 ათასი ლარით, ხოლო სოციალური უზრუნველყოფა - 432.0 ათასი ლარით.

⁸⁹ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 17, პუნქტი 2.

⁹⁰ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა, სამხედრო აღრიცხვა და მობილიზაცია, მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და სარიტუალო მომსახურება.

განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის გაზრდის მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურისთვის არ მიუძღრთავს. მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს არ უმსჯელიათ შეემცირებინათ ხარჯები და საქმიანობა განხორციელებინათ დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ფარგლებში.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი სამსახურების საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა მისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების შესაბამისად, რამაც დამატებითი ხარჯები გამოიწვია.

რეკომენდაცია № 13

მერიამ იმსჯელოს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების საკითხზე. სათანადოდ დაასაბუთოს და მოითხოვოს დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ტრანსფერის მოცულობის გაზრდა ან შეამციროს ხარჯები და საქმიანობა განახორციელოს გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში. აღნიშნული უზრუნველყოფს საქმიანობის უფრო ეკონომიურად განხორციელებას და საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზაციას.

2.10 შიდა აუდიტი

კრიტერიუმი: შიდა აუდიტის სამსახური ეხმარება მუნიციპალიტეტს იმ პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებაში, რომლებიც განსაზღვრა ხელმძღვანელობამ მოწესრიგებული და ეფექტიანი მართვისათვის. შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია ორგანიზაციაში არსებული სისტემების, პროცესების, შიდა კონტროლის მექანიზმების შესწავლა და მათი ფუნქციონირების შემოწმება. ამ მიზნით მნიშვნელოვანია სამსახურმა შეისწავლოს მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა, შეაფასოს, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება დაფინანსება, დანერგულია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ.⁹¹

შიდა აუდიტის სამსახური ადგენს შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშს, გასცემს რეკომენდაციებს გამოვლენილი მიგნებების შესახებ, ხოლო შემდგომში ახორციელებს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. დაწესებულების ხელმძღვანელი უზრუნველყოფს შიდა აუდიტორულ ანგარიშში არსებულ რეკომენდაციებზე რეაგირებას.⁹²

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარდა 7 აუდიტორული შემოწმება.⁹³ წარმოდგენილი მონაცემებით, სამსახურს არ განუხორციელებია წინასწარი შესწავლისა და რისკის შეფასების სათანადო პროცედურები. აღნიშნული პროცედურების საფუძველზე, უნდა მომხდარიყო მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ძირითადი რისკების, არსებული დარღვევებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება.

⁹¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6.

⁹² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 6.

⁹³ 2020 წელს შემოწმდა 2 ა(ა)იპ და 1 შპს; 2021 წელს შემოწმდა მერიის 1 სამსახური, 2 ა(ა)იპ და 1 შპს.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილია სხვადასხვა სახის კონკრეტული დარღვევა-ნაკლოვანება, რომლის გამოსწორების მიზნით გაცემულია რეკომენდაციები, თუმცა აღნიშნული რეკომენდაციები არის ზოგადი ხასიათის და არ მიუთითებს სისტემაში არსებულ ხარვეზებზე. სამსახურის მიერ არ გამოვლენილა სისტემური დარღვევა-ნაკლოვანებები და არ შემუშავებულა ამ ხარვეზების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციები. შესაბამისად, გაცემული რეკომენდაციები ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის შედეგად, ვერ გამოვლინდა კონტროლის მექანიზმების ის სისუსტეები და ხარვეზები, რომლებიც დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტისას. კერძოდ, მიმდინარე აუდიტის პერიოდში გამოვლინდა შესყიდვების მართვაში არსებული ნაკლოვანებები და რისკის შემცველი გარემოებები, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვის, შესრულებისა და კონტროლში არსებული ხარვეზები, ა(ა)იპ/შპს-ების მართვაში არსებული ხარვეზები, საბიუჯეტო ხარვეზები, ქონების განკარგვაში არსებული ნაკლოვანებები და სხვ.

დასკვნა

შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა საკმარისად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებას, რისკების მართვას და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას. გამომდინარე აქედან, 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახური სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას.

რეკომენდაცია № 14

მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომელიც შეისწავლის და შეაფასებს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემებს, ასევე პროცესებში არსებულ რისკებს და გამოავლენს სისტემურ ხარვეზებს. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მათი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდასა და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

2.11 წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2018 წელს ჩატარა ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ობიექტმა გაატარა ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია წინა აუდიტის ანგარიშში ასახული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების შესახებ. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა არ განახორციელა სათანადო რეაგირება და განმეორებით დაუშვა ზოგიერთი დარღვევა, რომელიც აღწერილია აუდიტის ანგარიშში, კერძოდ:

- 1) მუნიციპალიტეტს წლის ბოლოს რჩება არსებითი მოცულობის ნაშთი, მათ შორის თავისუფალი ნაშთი;
- 2) კვლავ გამოვლინდა გარე განათების მოვლა-პატრონობის ხარვეზები;

- სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვისას თანხები ანაზღაურებულია ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლის გარეშე;
- ინფრასტრუქტურული პროექტები დაზიანებულია. მუნიციპალიტეტს საგარანტიო პერიოდში მიმწოდებლებისათვის ხარვეზების გამოსასწორებლად არ მიუძღვრება; გარდა ამისა, ზოგიერთი პროექტი დაუსრულებელია;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებით კვლავ სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები;
- სატრანსპორტო საშუალებების საწვავისა და მოვლა-შენახვისთვის გამოყოფილი თანხები იხარჯება არარაციონალურად;
- საბიუჯეტო სახსრები კვლავ არარაციონალურად იხარჯება, როდესაც ფინანსდება ა(ა)იპ „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია“ და ა(ა)იპ ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო;
- მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ზოგიერთი დასაქმებული ფუნქციურად არ არის დატვირთული;
- მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები ანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ქმედებები აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება. აღნიშნული აუცილებელია საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცულობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისათვის.

2.12 სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.12.1 სურსათის განაწილებაში არსებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტის შესაბამისად,⁹⁴ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემული სოციალური დახმარებების მიზნობრივად გამოყენებისათვის მონიტორინგს ახორციელებს მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. განსაზღვრული მოცულობის სასურსათო დახმარების მიღებას, ბენეფიციარი ადასტურებს შესაბამის დოკუმენტზე ხელის მოწერით.

ფაქტობრივი გარემოება: 2020 წელს, ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო, მოსახლეობისთვის დახმარების გაწევის მიზნით, მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სხვადასხვა სახის სასურსათო პროდუქტი, ღირებულებით 547.2 ათასი ლარი.

საკითხის შესწავლით გამოვლინდა, რომ სურსათის ბენეფიციარებისათვის გადაცემის პროცესზე მუნიციპალიტეტი სათანადო კონტროლს არ ახორციელებდა. პროდუქტების მოსახლეობაზე გადაცემის დასადასტურებლად, მერიამ ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტური

⁹⁴ 2017 წლის 20 ნოემბრის საკრებულოს დადგენილება №60 „ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების შესახებ“.

მტკიცებულებები,⁹⁵ რაც წარმოშობს კვების პროდუქტების არამიზნობრივად განკარგვის რისკებს.

დასკვნა

სოციალური დახმარებების გაცემის პროცესში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, სასურსათო პროდუქტების დარიგება არ არის დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებებით.

2.12.2 დაცვის მომსახურების დაუსაბუთებელი შესყიდვა

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ მომდევნო წლის შესყიდვების წლიური გეგმის შესყიდვების სააგენტოში წარდგენის შემდგომ, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია დაიწყოს მომდევნო წლისთვის აუცილებელი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.⁹⁶

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა შეისყიდა შპს „ბოლნისის მუნიციპალიტეტის ცენტრალური პარკის“ დაცვის მომსახურება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტისგან, ჯამური ღირებულებით 156.0 ათასი ლარი.⁹⁷

მერიასა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელს ევალება ბოლნისის ცენტრალური პარკის ტერიტორიის დაცვა. დაცვის პოლიცია პასუხისმგებელია მასზე ჩაბარებული ობიექტებისა და მატერიალური ფასეულობების დაცვაზე. კერძოდ, საბავშვო ატრაქციონები, მაგიდის ჩოგბურთის 3 მაგიდა, მინი სტადიონი 8 პროექტორით, პარკის ტერიტორიაზე არსებული შპს-ის ადმინისტრაციული შენობა, ამფითეატრის შენობა და სხვა დაკეტილი შენობები.⁹⁸

საკითხის შესწავლით დგინდება, რომ მუნიციპალიტეტის მიერ პარკის ტერიტორიაზე მოწყობილია 4 ერთეული ვიდეო სამეთვალყურეო კამერა, რომლის მონიტორები დამონტაჟებულია შპს-ს დირექტორის კაბინეტში და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, კამერები აკონტროლებენ პარკის ცენტრალურ შესასვლელს, პარკის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიას, სტადიონს და ამფითეატრის ტერიტორიას.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალურ შპს-ში 2020-2021 წლებში დასაქმებული იყო 29 პირი, რომელთა შრომის ანაზღაურებამ 402.6 ათასი ლარი შეადგინა. გარდა ამისა, შპს-ს დირექტორის განმარტებით, 8 დასაქმებული პირი პრაქტიკულად უფუნქციოა. აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი და შესაფერისი რწმუნება, რა აუცილებლობას წარმოადგენს პარკის დაცვის მომსახურების შესყიდვა, როდესაც პარკის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია ვიდეო სამეთვალყურეო კამერები და მუნიციპალურ შპს-ს ჰყავს დასაქმებულები, რომელთაც ფუნქცია მოვალეობები არ გააჩნიათ.

დასკვნა

შესყიდვების დაგეგმვაში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მუნიციპალიტეტმა შეისყიდა მომსახურება, რომლის აუცილებელი საჭიროება არ

⁹⁵ წარმოდგენილია არასრული სია, სადაც არ არის მითითებული რა მოცულობის სურსათი მიიღო მოსახლეობამ.

⁹⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 9.

⁹⁷ CMR200000323; CMR210001278.

⁹⁸ საბილიარდე, ცეკვის დარბაზი.

არის არგუმენტირებული საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებებით. ცენტრალური პარკის დაცვის მომსახურების შესყიდვაზე, მერიის მიერ გაწეულია არაგონივრულად მაღალი დანახარჯი, თანხით 156.0 ათასი ლარი.

2.12.3 უნებართვო მშენებლობები

კრიტერიუმი: მშენებლობა, რომელიც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე, ასევე დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსებით სანებართვო მოწმობით განსაზღვრული გამოყენების პერიოდის გასვლის შემდეგ ან სამშენებლო დოკუმენტაციის ისეთი დარღვევით, როდესაც შენობა-ნაგებობის ფუნქცია იცვლება, ან/და ემატება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი, არის უნებართვო მშენებლობა.⁹⁹ მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციაა სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დაცვაზე ზედამხედველობა და დარღვევის ფაქტების გამოვლენა. იგი ვალდებულია აწარმოოს პერიოდული მონიტორინგი, რათა გამოავლინოს უნებართვო მშენებლობები, რომელთა გამოვლენის შემდეგ აჯარიმებს მშენებელს და ატარებს სათანადო სამართლებრივ ღონისძიებებს, უნებართვო მშენებლობის შეჩერების მიზნით.¹⁰⁰

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2022 წლებში მუნიციპალიტეტში უნებართვო მშენებლობისთვის გამოვლენილი და დაჯარიმებულია 39 პირი.¹⁰¹

საკითხის შესწავლით დგინდება, რომ მერიის მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგის არსებული სისტემა გაუმართავია, რაც ვერ უზრუნველყოფს უკანონო მშენებლობების დროულ გამოვლენას. კერძოდ: მერიამ გამოავლინა უნებართვო მშენებლობის 39 შემთხვევა და შესაბამისი პირები დააჯარიმა ობიექტის სამუშაოების დასრულების ეტაპზე, მათ შორის 24 პირი დაჯარიმდა, როდესაც სამშენებლო სამუშაო დასრულებული იყო.

დამრღვევი პირის დაჯარიმების შემდგომ, უნებართვო მშენებლობის შესაჩერებლად არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები. ჯარიმის გამოწერის შემდგომ, მითითებულ ობიექტებზე შესაბამისი სამსახური მშენებლობის მონიტორინგს არ აწარმოებდა. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ დაჯარიმებული მესაკუთრეები აგრძელებდნენ მშენებლობის პროცესს. აღსანიშნავია, რომ დარღვევის გამოვლენისას მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი იყო, მაგრამ არ გამოსცა შესაბამისი აქტი მშენებლობის შეჩერების შესახებ.

დასკვნა

უნებართვო სამშენებლო სამუშაოების გამოვლენისა და აღკვეთის პროცესში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მუნიციპალიტეტი საჭირო ინტენსივობით არ ატარებდა მიმდინარე მშენებლობების მონიტორინგს. შედეგად, უნებართვო მშენებლობის ფაქტები, მერიამ დაგვიანებით გამოავლინა და არ განახორციელა სათანადო რეაგირება მშენებლობის შეჩერების მიზნით.

⁹⁹ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 74. საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“, მუხლი 3, პუნქტი „318“.


¹⁰⁰ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 დეკემბრის №46 დადგენილება „ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების შესახებ“, მუხლი 4, 5.

¹⁰¹ 2020 წელი - 8, 2021 წელი - 13 და 2022 წელი - 18 შემთხვევა.

აუდიტორები

ხელმოწერა

გიორგი შურღაია
მთავარი აუდიტორი



ლაშა ლაშია
უფროსი აუდიტორი



თეა უდესიანი
უფროსი აუდიტორი



შალვა მელაძე
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი



გიორგი დარახველიძე
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი



დანართები

დანართი №1.

2020-2021 წლებში გარე განათების მასალების ერთეულის ღირებულებების შედარება პრეისკურანტით და სასაქონლო ზედნადებით მოცემულ მონაცემებს შორის:

2020 წელი						
მასალის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	მასალის ერთეულის ფასი პრეისკურანტით (ლარი)	პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული ფასი (ლარი)	მასალის ერთეულის ფასი სასაქონლო ზედნადებით (ლარი)	სხვაობა (ლარი)	ფასის ზრდა (%)
ნათურა (სოდიუმი) 250 ვტ.	247	29.3	29.3	10.2	4,722	287%
ნათურა (სოდიუმი) 150 ვტ.	330	22.9	22.9	8.9	4,626	257%
ნათურა (სოდიუმი) 70 ვტ.	924	19.1	19.1	7.6	10,598	251%
დროსელი 70 ვტ.	511	22.9	22.9	14.0	4,559	164%
სულ					24,504	
2021 წელი						
ნათურა (სოდიუმი) 250 ვტ.	282	28.0	25.5	10.8	4,841	259%
ნათურა (სოდიუმი) 150 ვტ.	359	22.9	20.4	9.6	4,790	238%
ნათურა (სოდიუმი) 70 ვტ.	757	17.8	15.3	8.3	7,204	214%
დროსელი 70 ვტ.	442	21.7	20.4	14.0	3,395	155%
სულ					20,230	
ჯამი					44,734	

დანართი №2.

2020-2021 წლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტში მოწყობილი ინფრასტრუქტურული პროექტების დაზიანებული ობიექტები:

№	NAT/CMR	პროექტის დასახელება	გადახდა (ათასი ლარი)	საბოლოო მიღება ჩაბარების თარიღი	დაზიანებული მონაკვეთები
1	NAT210004 209	ქ. ბოლნისში სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N43-ში მდებარე სათნოების სახლის ეზოში ახალი საცხოვრებელი კორპუსის მიშენება	450,229.9	09.02.2022	სახურავიდან ჩამოდის წყალი, კედლები ზოგიერთ ადგილას დაზიანებულია
2	CMR200106 581	ქ. ბოლნისში №1 საბავშვო ბაღის სამზარეულოს (სველი წერტილები) რეაბილიტაცია	34,703.2	16.10.2020	დაზიანებულია კედლები
3	NAT190025 864	სოფ. რატევის შიდა გზების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	439,218.5	16.12.2020	დაზიანებულია სახლებში შესასვლელი ცხაურები და ქუჩიდან ქუჩაში გადასასვლელი

					ცხადრები, სანიაღვრე არ ფუნქციონირებს
4	NAT200010 042	ქ. ბოლნისში, ფარნავაზ მეფის ქუჩა #41-ში მდებარე შენობის შიდა რეაბილიტაცია	351,158.9	05.02.2021	სარდაფში კედლები დაზიანებულია, ჭერი დაზიანებულია ზოგიერთ მონაკვეთზე
სულ:			1,275,310		

დანართი №3.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწების სარგებლობა არაუფლებამოსილი პირების მიერ

№	საკადასტრო კოდი	დანიშნულება	ფართობი (კვ.მ)	მისამართი	ობიექტის აღწერა
1	80.06.61.460	სასოფლო- სამეურნეო	1,010,000	სოფელი დისველი	მარცვლეული კულტურა
2	80.07.70.171	სასოფლო- სამეურნეო	215,730	სოფელი ბოლნისი	მარცვლეული კულტურა
3	80.06.61.461	სასოფლო- სამეურნეო	180,000	სოფელი დისველი	მარცვლეული კულტურა
4	80.12.64.259	სასოფლო- სამეურნეო	129,689	სოფელი წიფორი	მარცვლეული კულტურა
5	80.10.68.051	სასოფლო- სამეურნეო	83,819	სოფელი გეტა	მარცვლეული კულტურა
6	80.10.68.050	სასოფლო- სამეურნეო	73,927	სოფელი გეტა	მარცვლეული კულტურა
7	80.10.70.423	სასოფლო- სამეურნეო	52,745	სოფელი აკაურთა	მარცვლეული კულტურა
8	80.12.63.305	სასოფლო- სამეურნეო	50,000	სოფელი ჭრეში	მარცვლეული კულტურა
9	80.12.64.260	სასოფლო- სამეურნეო	40,029	სოფელი ჭრეში	მარცვლეული კულტურა
10	80.10.68.052	სასოფლო- სამეურნეო	37,192	სოფელი გეტა	მარცვლეული კულტურა
11	80.12.66.318	სასოფლო- სამეურნეო	35,000	სოფელი ხახალაჯვარი	მარცვლეული კულტურა
12	80.13.61.347	სასოფლო- სამეურნეო	33,479	სოფელი კიანეთი	მარცვლეული კულტურა
13	80.03.64.698	სასოფლო- სამეურნეო	28,155	სოფელი მამხუტი	მარცვლეული კულტურა
14	80.12.63.302	სასოფლო- სამეურნეო	22,000	სოფელი დარბაზი	მარცვლეული კულტურა
15	80.12.66.316	სასოფლო- სამეურნეო	20,000	სოფელი ხახალაჯვარი	მარცვლეული კულტურა
16	80.12.66.317	სასოფლო- სამეურნეო	20,000	სოფელი ხახალაჯვარი	მარცვლეული კულტურა
17	80.12.66.476	სასოფლო- სამეურნეო	19,802	სოფელი ხახალაჯვარი	მარცვლეული კულტურა
18	80.12.63.304	სასოფლო- სამეურნეო	19,695	სოფელი ჭრეში	მარცვლეული კულტურა
19	80.13.64.610	სასოფლო- სამეურნეო	18,105	სოფელი ქვეში	მარცვლეული კულტურა
20	80.13.64.680	სასოფლო- სამეურნეო	14,761	სოფელი ქვეში	მარცვლეული კულტურა

21	80.13.64.611	სასოფლო-სამეურნეო	14,282	სოფელი ქვეში	მარცვლეული კულტურა
22	80.13.64.613	სასოფლო-სამეურნეო	14,257	სოფელი ქვეში	მარცვლეული კულტურა
23	80.13.64.609	სასოფლო-სამეურნეო	14,013	სოფელი ქვეში	მარცვლეული კულტურა
24	80.10.70.425	სასოფლო-სამეურნეო	12,941	სოფელი გეტა	მარცვლეული კულტურა
25	80.10.68.053	სასოფლო-სამეურნეო	11,956	სოფელი გეტა	მარცვლეული კულტურა
26	80.12.66.477	სასოფლო-სამეურნეო	10,198	სოფელი ხახალაჯვარი	მარცვლეული კულტურა
27	80.12.63.301	სასოფლო-სამეურნეო	10,000	სოფელი დარბაზი	მარცვლეული კულტურა
28	80.09.64.164	სასოფლო-სამეურნეო	9,999	სოფელი რატეკანი	მარცვლეული კულტურა
29	80.07.69.187	სასოფლო-სამეურნეო	7,700	სოფელი სამწვერისი	მარცვლეული კულტურა
30	80.04.64.853	სასოფლო-სამეურნეო	7,547	სოფელი ტალავერი	მარცვლეული კულტურა
31	80.13.64.608	სასოფლო-სამეურნეო	6,979	სოფელი ქვეში	მარცვლეული კულტურა
32	80.13.64.682	სასოფლო-სამეურნეო	6,607	სოფელი ქვეში	მარცვლეული კულტურა
სულ:			2,230,607		

დანართი №4.

2020-2021 წლებში ავტომობილებში ავზის მოცულობაზე ერთჯერადად მეტი ოდენობით ჩასხმის მაგალითები:

ავტომანქანის მესაკუთრე	მანქანის სახელმწიფო ნომერი	ავზის ტევადობა (ლიტრი)	ერთჯერა დად ჩასხმულ ი საწვავი (ლიტრი)	სხვაობა (მეტრობი თ ლიტრის ჩასხმა)	ჩასხმის თარიღი	ჩასხმის დრო
კერძო	LE177KI	60	71,65	11,65	22.12.2021	15:02
კერძო	AA459CC	42	53,00	11	10.12.2021	15:59
კერძო	AA459CC	42	72,00	30	02.12.2021	11:13
კერძო	YM523MY	50	78,89	28,89	16.11.2021	10:24
კერძო	AA459CC	42	66,00	24	13.11.2021	20:39
მუნიციპალიტეტი	NN881UU	45	80,00	35	07.11.2021	16:14
კერძო	GSG-776	39	50,00	11	01.11.2021	20:16
კერძო	ELA-019	42	50,00	8	21.10.2021	16:03
მუნიციპალიტეტი	VC050CV	45	57,16	12,16	05.10.2021	21:49
კერძო	SK589MN	45	50,00	5	02.10.2021	10:10
კერძო	LE177KI	60	73,00	13	30.09.2021	20:04
მუნიციპალიტეტი	PP030FF	50	64,00	14	25.09.2021	12:24
კერძო	SK589MN	45	57,00	12	16.09.2021	23:18
კერძო	GSG-776	39	50,00	11	13.09.2021	10:08
მუნიციპალიტეტი	PP030FF	50	58,00	8	05.09.2021	14:00
კერძო	GSG-776	39	50,00	11	03.09.2021	20:26
კერძო	EEI-173	45	50,00	5	02.09.2021	12:30
მუნიციპალიტეტი	YV878VY	58	68,00	10	01.09.2021	22:37
კერძო	AA459CC	42	52,00	10	12.08.2021	14:00
კერძო	FS604SF	56	69,00	13	08.08.2021	23:03
მუნიციპალიტეტი	YV878VY	58	66,00	8	05.08.2021	03:23
მუნიციპალიტეტი	PP030FF	50	56,00	6	04.08.2021	19:31
კერძო	AA459CC	42	70,00	28	01.08.2021	20:53
კერძო	HGH-776	55	60,00	5	01.08.2021	08:44

კერძო	IV320VI	48	61,00	13	01.08.2021	01:37
მუნიციპალიტეტი	YV878VY	58	64,00	6	01.08.2021	12:10
კერძო	AA459CC	42	50,00	8	24.07.2021	15:45
მუნიციპალიტეტი	PP584FF	50	60,00	10	20.07.2021	17:49
მუნიციპალიტეტი	NN881UU	45	50,00	5	11.07.2021	21:24
კერძო	AA459CC	42	50,00	8	01.07.2021	14:26
კერძო	HGH-776	55	65,00	10	01.07.2021	10:59
მუნიციპალიტეტი	MZM-641	70	100,00	30	12.06.2021	12:14
კერძო	AA459CC	42	48,00	6	07.06.2021	20:51
კერძო	II063HH	58	64,00	6	05.06.2021	11:31
კერძო	GSG-776	39	48,00	9	03.06.2021	20:50
მუნიციპალიტეტი	YV878VY	58	80,00	22	03.06.2021	09:35
კერძო	IV320VI	48	60,00	12	02.06.2021	14:35
მუნიციპალიტეტი	MZM-641	70	100,00	30	14.05.2021	19:20
მუნიციპალიტეტი	YV878VY	58	65,00	7	08.05.2021	10:37
მუნიციპალიტეტი	YV878VY	58	66,00	8	07.05.2021	13:24
კერძო	AA459CC	42	53,00	11	05.05.2021	10:27
მუნიციპალიტეტი	YV878VY	58	65,00	7	03.05.2021	15:48
კერძო	IV320VI	48	65,00	17	01.05.2021	14:46
კერძო	ZZ738FF	55	60,00	5	29.04.2021	10:52
მუნიციპალიტეტი	YV878VY	58	72,00	14	09.04.2021	20:39
მუნიციპალიტეტი	YV878VY	58	65,00	7	04.04.2021	18:25
კერძო	AA459CC	42	60,00	18	02.04.2021	18:00
კერძო	GSG-776	39	50,00	11	01.04.2021	19:51
მუნიციპალიტეტი	XX080NN	45	50,00	5	30.03.2021	12:27
კერძო	POP-034	80	97,00	17	27.03.2021	14:08
კერძო	YM523MY	50	60,00	10	24.03.2021	11:17
მუნიციპალიტეტი	YV878VY	58	63,98	5,98	21.03.2021	13:53
მუნიციპალიტეტი	YV878VY	58	67,38	9,38	19.03.2021	21:04
მუნიციპალიტეტი	AF358FA	80	110,00	30	13.03.2021	19:35
მუნიციპალიტეტი	VC050CV	45	66,78	21,78	07.03.2021	19:52
კერძო	DD527HH	60	65,00	5	05.03.2021	20:41
კერძო	IV320VI	48	61,00	13	03.03.2021	19:30
კერძო	AA459CC	42	60,00	18	01.03.2021	15:03
კერძო	GEL-866	60	66,00	6	28.02.2021	16:14
მუნიციპალიტეტი	PP030FF	50	55,00	5	27.02.2021	16:27
კერძო	ZZ738FF	55	60,00	5	26.02.2021	11:58
კერძო	IV320VI	48	63,00	15	09.02.2021	15:18
კერძო	AA459CC	42	50,00	8	03.02.2021	14:28
კერძო	GSG-776	39	50,00	11	01.02.2021	07:12
მუნიციპალიტეტი	PP030FF	50	55,00	5	01.02.2021	15:27
მუნიციპალიტეტი	YV878VY	58	69,00	11	31.12.2020	07:20
მუნიციპალიტეტი	CF294FC	70	100,00	30	30.12.2020	14:12
მუნიციპალიტეტი	BY041YB	58	70,00	12	25.12.2020	15:41
მუნიციპალიტეტი	AF358FA	80	120,00	40	16.12.2020	08:17
მუნიციპალიტეტი	PP030FF	50	63,01	13,01	12.12.2020	16:51
კერძო	FS604SF	56	62,35	6,35	05.12.2020	11:42
კერძო	GSG-776	39	60,00	21	02.12.2020	10:07
კერძო	IV320VI	48	60,00	12	01.12.2020	15:35
კერძო	DD527HH	60	72,84	12,84	30.11.2020	15:39
მუნიციპალიტეტი	PP030FF	50	70,85	20,85	28.11.2020	19:25
კერძო	SF482SF	45	50,00	5	27.11.2020	15:22
მუნიციპალიტეტი	PP030FF	50	65,00	15	20.11.2020	18:24
მუნიციპალიტეტი	TT429NN	60	70,00	10	16.11.2020	16:30
კერძო	ELA-019	42	99,00	57	05.11.2020	16:42
კერძო	HGH-776	55	65,00	10	01.11.2020	13:12
კერძო	AA459CC	42	53,65	11,65	20.10.2020	16:41
კერძო	II063HH	58	63,00	5	04.10.2020	14:03
მუნიციპალიტეტი	CS963SC	70	77,00	7	31.08.2020	20:06
მუნიციპალიტეტი	YV878VY	58	65,00	7	14.08.2020	20:18

კერძო	GSG-776	39	50,00	11	09.08.2020	17:23
კერძო	GSG-776	39	70,00	31	01.08.2020	20:30
მუნიციპალიტეტი	PP030FF	50	67,00	17	16.07.2020	21:50
მუნიციპალიტეტი	PP030FF	50	59,00	9	10.07.2020	19:48
კერძო	ELA-019	42	120,01	78,01	19.06.2020	13:21
მუნიციპალიტეტი	PP030FF	50	58,00	8	07.06.2020	23:59
მუნიციპალიტეტი	YV878VY	58	66,00	8	06.06.2020	15:35
კერძო	GSG-776	39	50,00	11	01.06.2020	19:15
მუნიციპალიტეტი	PP030FF	50	59,00	9	01.06.2020	20:11
მუნიციპალიტეტი	PP030FF	50	64,00	14	22.05.2020	15:32
მუნიციპალიტეტი	YV878VY	58	65,00	7	18.05.2020	16:02
კერძო	SK589MN	45	50,52	5,52	17.05.2020	12:45
კერძო	QG935QG	75	133,49	58,49	15.05.2020	13:56
მუნიციპალიტეტი	PP030FF	50	65,00	15	13.05.2020	17:50
მუნიციპალიტეტი	YV878VY	58	65,00	7	12.05.2020	11:31
მუნიციპალიტეტი	AF358FA	80	100,00	20	10.05.2020	08:39
მუნიციპალიტეტი	YV878VY	58	64,00	6	04.05.2020	19:37
კერძო	ELA-019	42	100,00	58	28.04.2020	11:18
კერძო	TO111KO	58	80,00	22	27.04.2020	13:45
კერძო	QG935QG	75	82,00	7	24.04.2020	10:52
კერძო	ELA-019	42	69,00	27	23.04.2020	16:49
კერძო	GF940GF	53	70,00	17	17.04.2020	09:03
მუნიციპალიტეტი	PP030FF	50	59,00	9	12.04.2020	20:29
კერძო	QG935QG	75	136,00	61	24.03.2020	14:45
მუნიციპალიტეტი	PP030FF	50	57,00	7	06.03.2020	17:44
კერძო	DD527HH	60	66,00	6	03.03.2020	21:28
მუნიციპალიტეტი	NN881UU	45	75,00	30	01.03.2020	18:31
მუნიციპალიტეტი	NN881UU	45	60,00	15	10.02.2020	18:55
კერძო	TO111KO	58	80,00	22	22.01.2020	14:49
სულ			7,588.6			

დანართი №5.

2020-2021 წლებში ავტომანქანებში საწვავის ჩასხმის ჯერადობის მაგალითები:

მანქანის სახელმწიფო ნომერი	ჩასხმის თარიღი	ჩასხმის დრო	ჩასხმული საწვავი (ლიტრი)	სულ (ლიტრი)	ავზის ტევადობა (ლიტრი)
WW170NN	01.12.2021	10:19	31,00	68,00	45
		10:04	37,00		
SS209SI	30.11.2021	07:37	70,00	130,00	105
		07:29	60,00		
BY041YB	01.11.2021	10:59	20,00	77,00	58
		10:08	57,00		
XBX-256	30.10.2021	14:29	20,00	70,00	45
		11:56	25,00		
		11:52	25,00		
		17:57	10,00		
		15:23	20,00		
SS171SW	02.10.2021	14:13	20,00	135,00	70
		11:56	15,00		
		11:35	10,00		
		11:11	20,00		

		10:46	10,00		
		10:42	10,00		
		10:38	10,00		
		10:35	10,00		
LA105AL	01.10.2021	07:29	50,00	110,00	85
		07:23	60,00		
NN881UU	01.10.2021	14:20	6,29	78,87	45
		14:15	20,00		
		14:13	10,00		
		13:24	12,58		
		11:02	20,00		
		09:34	10,00		
BY041YB	08.09.2021	17:14	54,00	74,00	58
		16:09	20,00		
FS604SF	07.09.2021	20:57	39,71	85,71	56
		18:16	20,00		
		18:14	10,00		
		17:20	16,00		
YV878VY	16.07.2021	22:57	25,00	102,00	58
		21:23	48,01		
		21:00	28,99		
BY041YB	03.07.2021	15:09	30,00	89,00	58
		14:27	59,00		
SC565SC	02.07.2021	13:14	30,00	100,00	80
		10:38	70,00		
HGH-776	03.06.2021	18:51	40,00	70,00	55
		17:24	30,00		
BY041YB	19.05.2021	11:37	15,00	80,00	58
		11:06	20,00		
		10:25	45,00		
BA287AC	01.05.2021	11:37	29,31	79,31	58
		11:11	50,00		
CS963SC	01.05.2021	08:02	63,00	103,00	70
		06:46	40,00		
BY041YB	15.04.2021	11:32	32,00	84,00	58
		09:52	52,00		
GEL-866	08.03.2021	19:56	18,00	85,00	60
		19:54	27,00		
		19:51	40,00		
QG935QG	26.02.2021	11:09	23,00	97,00	75
		11:07	25,00		
		09:48	49,00		
YV878VY	21.02.2021	19:51	20,00	100,00	58

		15:41	30,00		
		14:21	20,00		
		14:19	30,00		
CS963SC	09.12.2020	18:17	66,00	121,00	70
		17:46	55,00		
LLO-770	02.12.2020	16:47	10,00	108,06	75
		16:43	51,00		
		16:41	27,06		
		16:35	20,00		
BY041YB	30.11.2020	18:16	15,00	111,00	58
		17:26	9,00		
		13:50	20,00		
		11:34	40,00		
		09:15	27,00		
NN881UU	17.11.2020	18:22	30,00	65,00	45
		18:17	10,00		
		17:23	25,00		
DD527HH	03.10.2020	10:59	20,00	100,00	60
		10:52	20,00		
		10:48	60,00		
EEX-545	24.09.2020	17:11	20,00	60,00	45
		17:10	40,00		
LA106AL	09.09.2020	09:57	20,00	250,00	85
		09:56	80,00		
		08:42	20,00		
		07:54	10,00		
		07:51	70,00		
		07:47	50,00		
DSS-798	07.09.2020	13:16	3,00	83,00	52
		13:16	15,00		
		10:21	35,00		
		10:07	30,00		
LA106AL	07.09.2020	08:37	20,00	130,00	85
		08:20	20,00		
		08:13	20,00		
		07:57	70,00		
BA287AC	06.09.2020	15:11	10,00	69,00	58
		15:10	59,00		
BY041YB	09.07.2020	14:25	57,00	92,00	58
		09:22	35,00		
IC914II	02.07.2020	14:48	51,00	81,00	60
		13:48	30,00		
DD527HH	21.05.2020	16:45	40,00	120,00	60

		10:07	50,00		
		10:04	20,00		
		10:01	10,00		
BA287AC	18.05.2020	19:26	20,00	71,00	58
		17:34	51,00		
VL545LV	05.05.2020	18:52	8,00	88,66	63
		17:05	40,00		
		17:03	40,66		
YV878VY	29.04.2020	20:01	40,00	89,97	58
		19:53	17,97		
		19:28	32,00		
FS604SF	28.04.2020	17:10	35,00	237,82	56
		16:41	20,00		
		16:40	10,00		
		15:25	25,00		
		14:36	25,00		
		14:22	15,00		
		13:54	30,00		
		12:56	12,82		
		12:25	10,00		
		11:50	10,00		
		11:33	10,00		
		10:54	10,00		
LLO-770	28.04.2020	10:50	25,00	135,00	75
		15:48	20,00		
		11:38	20,00		
		10:23	15,00		
		10:21	10,00		
		10:20	10,00		
		10:19	10,00		
		10:18	10,00		
		10:17	10,00		
		10:16	10,00		
		10:15	10,00		
		10:14	10,00		
CFC-522	27.04.2020	13:02	10,00	110,00	63
		10:38	10,00		
		10:16	10,00		
		10:15	10,00		
		10:14	10,00		
		10:12	10,00		
		10:11	10,00		
		10:10	10,00		

		10:09	10,00		
		00:34	20,00		
		12:57	10,00		
		12:24	25,00		
		11:26	10,00		
		10:56	10,00		
		10:54	10,00		
	26.04.2020	10:52	10,00	130,00	
		10:44	10,00		
		10:31	10,00		
		10:30	10,00		
		10:15	10,00		
		10:05	15,00		
		20:04	19,00		
		18:17	20,00		
GEL-866	24.04.2020	18:15	20,00	99,00	60
		15:45	20,00		
		12:09	20,00		
		11:30	39,37		
NN881UU	18.03.2020	10:34	11,81	90,55	45
		10:07	39,37		
		19:05	60,00		
TO111KO	07.02.2020	19:01	10,00	70,00	58
		18:27	34,98		
DD527HH	02.02.2020	17:41	46,97	81,95	60
		08:15	80,00		
GB941BG	08.01.2020	08:00	60,00	140,00	120
		15:51	30,00		
DD527HH	03.01.2020	15:35	51,00	81,00	60

დანართი №6.

2020-2021 წლებში ავტომანქანებში ბოლნისის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ შესაბამისი დასაბუთების გარეშე საწვავის ჩასხმის შემთხვევები:

2020-2021 წლები			
N	ავტომანქანის სახ. ნომერი	საწვავის ჩასხმის ჯერადობა	საწვავის რაოდენობა (ლიტრი)
1	AA459CC	2	89,00
2	AA885MA	1	20,00
3	AF358FA	10	325,01
4	BA287AC	2	99,00
5	BG841BG	2	40,00
6	BY041YB	3	142,00
7	CFC-522	9	265,39

8	CS963SC	8	338,00
9	DSS-798	1	10,00
10	EL777IM	1	50,00
11	EQE-997	1	11,00
12	FS604SF	2	35,00
13	GEL-866	39	1 140,56
14	GF940GF	1	15,00
15	GG512PP	1	35,00
16	HGH-776	1	20,00
17	II063HH	1	53,00
18	LLO-770	2	104,00
19	NZN-035	8	190,00
20	PNP-825	36	1 034,45
21	PP030FF	7	217,99
22	PP584FF	1	50,00
23	QG935QG	1	53,00
24	QJQ-686	3	95,00
25	SS171SW	7	297,00
26	TOK-057	2	40,00
27	TQ630TQ	2	22,00
28	UMU-649	1	15,00
29	VC050CV	32	929,78
30	VL545LV	8	380,47
31	VY709YV	2	65,66
32	XBX-256	5	139,00
33	XX080NN	4	110,00
34	XX105VV	1	20,00
35	XX318NN	1	40,00
36	XX645VV	8	174,00
37	XX818XY	1	37,00
38	YHY-482	3	70,00
39	YV878VY	21	818,71
40	YYV-808	1	20,00
41	ZZ738FF	1	20,00
42	ZZ771OO	4	100,00
სულ		247	7,731,02

დანართი №7.

2020-2021 წლებში შვებულების/ბიულეტენის დროს ავტომანქანის გამართვის შემთხვევები:

წელი	ავტომობილის სახ. ნომერი	ჩასხმების რაოდენობა შვებულების პერიოდში	საწვავის რაოდენობა (ლიტრი)
2020	CS 963 SC	4	82,00
2020	SS 171 SW	2	121,00
2020	VL 545LV	7	271,74
2020	FS 604 SF	8	169,36
2020	TO 111 KO	3	140,00
2020	AA 885 MA	4	80,00
2020	ZZ 771 00	4	120,00
2020	XX 080 NN	10	270,00
2020	PP584FF	1	40,00
2020	XX 105 VV	1	20,00
2020	BY 041 YB	11	343,00
2020	XX 645 VV	4	40,00
2020	VY 709 YV	3	50,00
2020	CS 184 SC	9	270,00
2020	YM 523 MY	3	25,00
2020	TV 221 VT	1	25,00
2020	FC 363 CF	1	25,00
2020	QV 131 QV	1	25,00
2020	AF358FA	7	280,00
2020	II063HH	5	207,00
2021	CS 963 SC	20	556,92
2021	SS 171 SW	38	1199,00
2021	BG 841 BG	3	60,00
2021	VL 545LV	22	418,00
2021	FS 604 SF	6	150,37
2021	AA 885 MA	5	110,00
2021	MPM 377	1	40,00
2021	ZZ 771 00	15	398,83
2021	XX 080 NN	4	107,00
2021	PP584FF	9	280,00
2021	AW 573 AW	6	105,00
2021	BY 041 YB	8	293,99
2021	XX318NN	11	120,00
2021	VY 709 YV	3	80,00
2021	ZZ 738 FF	10	216,00
2021	CS 184 SC	10	279,72
2021	TV 221 VT	1	25,00
2021	FC 363 CF	2	25,00
2021	QV 131 QV	1	25,00
2021	AF358FA	6	272,00
2021	II063HH	5	191,00
სულ		275	7,556,93

საკონტაქტო ინფორმაცია

**ვებგვერდი და
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

**ელექტრონული
ფოსტა**

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE